შაბათი, 1918 წ. ქრისტეშობისთვის 7 № 234

წლიწადი მეოთხე

შაბათი. 1918 წ. ქრისტეშობისთვის 7 № 234

ფასი თბილისში და პროვინციაში 50 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 60 კ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა. ფოსტის ადრესი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. ტელეგ. ადრესი: თბილისი, „საქართველო“

**კონტორა**

„საქართველოზე“ ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება—25 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 10 მანეთი. ცალკე № 50 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მან. უკანასკნელზე—80 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს 3 მან. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 10 (ახ. დრ.) საათიდან 3 საათამდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა 15--73

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა

## „საქართველოს“ რედაქციის ფონდი

დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას

## უკანასკნელი ცნობები

საქართველოს რესპუბლიკის ჯარი ახალციხესა და ახალქალაქში შევიდა.

გერმანელები ადესას სტოვებენ.

პეტლიურას და გერმანეთის „სოვდეპის“ შუა ზავი ჩამოვარდა.

პარიზში გარდაიცვალა ფრანგი მწერალი ედმონდ როსტანი.

გულმოკლულნი მშობლები: პარასკევა და იოსებ, ბებია ნინო, დები: მანიკო და თიკო და ძმა ირაკლი ბოძაშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს, 12 ქრისტეშობისთვეს, თელავში იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი მათი ძვირფასის მეოთხე კლასის მოწაფის

**თამრო ბოძაშვილის**

სულის მოსახსენებლად.

წირვა იქნება გადახდილი ღვთაების ეკლესიაში, პანაშვიდი კი ქალაქის სასაფლაოზე მის საფლავზე. 3—1923—1

ღრმად დამწუხრებული ანეტა პავლეს ასული აბრამაშვილი, სიდედრი თეკლე ქიმერიძე შვილები: გიორგი, გრიგოლ, მარუსა და პავლე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ს. ახალდაბაში გარდაიცვალა

**ნიკოლოზ იოსების ძე აბრამაშვილი.**

გამოსვენება 7 ქრისტეშობისთვეს ს. ახალდაბაში.

დამწუხარებული ძმები და დები ზაქარია იოსების ძე აბრამაშვილი, ალექსი იოსების ძე და ესტატე იოსების ძე ამბრამიშვილები, დარო ვარსიმაშვილისა და ნინა ბუხნიკაშვილი, სიძეები: ვარდენ ბუხნიკავილი, გიორგი ვარსიმაშვილი, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ უდროოდ გარდაიცვალა პირველთა ძმა და მეორეთა ცოლის ძმა

**ნიკოლოზ იოსების ძე აბრამაშვილი.**

დაკრძალვა 7 ქრისტეშობისთვეს, ს. ახალდაბაში.

მწუხარე მშობლები: მარუსია და პეტრე ზედგინიძეები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ყვავილისაგან საყვარელი

**გოგუცა „ნინუშა“**

დაკრძალვა მოხდება კვირას 12 საათზე სოფ. ძევრში (შორაპნის მაზრა). 1—1928—1

ორმოცის წირვა და პანაშვიდი

**კნეინა გაგალე გარათაშვილის**

სულის მოსახსენებლად გადახდილ იქნება დიდუბის ეკლესიაში კვირას 8 ქრისტეშობისთვეს. წირვის დასაწყისი დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე. (1—1929—1)

ივანე და ნიკოლოოზ ანდრიას ძენი, ნინო ბესარიონის ასული და და დარია ვასილის ასული ყიფშიძენი აუწყებენ ნათესავთა და მეგობართ, რომ კვირას, 8 ქრისტეშობისთვეს, მათი საყვარელი დაის

**ანეტა ყიფშიძის**

გარდაცვალების მეორმოცე დღეს, ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი. წირვა დაიწყება 10 ს., პანაშვიდი 12 საათზე. 1—1924—1

**თორმეტ ქრისტეშობისთვეს არის სახალხო გვარდიის დღე**

თპ. სიონის ტაძრის მგალობელთა გუნდის დამხმარე საზ.ბა, რომელსაც განზრახული აქვს

**საეკლესიო გალობის გაუმჯობესება**

და ამისათვის განზრახულ სასყიდლით მგალობელთა გუნდის შედგენა, იწვევს გალობის მოყვარულ, სმენისა და ხმის მქონე პირთ.

ხმის გასინჯვა და გუნდში ჩაწერა დანიშნულია კომპოზიტორ დ. არაყიშვილთან სამშაბათობით და პარასკეობით 4—6-დე, ხოლო კვირაობით 11-დან 1 საათამდე. მისამართი: ანჩისხატის ქ. № 1. 2—1914—2

კვირას, ქრისტეშობისთვის 8-ს, სამეურნეო ბანკში (სასახლის ქ.) საღამოს 5 საათზე შესდგება

**ჩვენი პარტიის ახალგაზრდათა საერთო კრება**

გერონტი ქიქოძე წაიკითხავს მოხსენებას

**საგარეო პოლიტიკის შესახებ.**

სრულიად საქართველოში 8 ქრისტ.

**ლატარიის ბილეთების საჯარო გაყიდვა მოეწყობა.**

**შეიძინეთ ბილეთები**

და პირად საქმესთან ერთად, მკვიდრ ნიადაგზე დააყენეთ ერის წინამძღოლობისთვის საჭირონი — **უნივერსიტეტი და თეატრი.**

**ქართული კლუბი**

შაბათს, ქრისტეშობ. 7-ს, 1918 წ. ჟურნალ **„თეატრი და ცხოვრების“** სასარგებლოდ გაიმართება

**დიდი** სალიტერატურო-სამუსიკო-საცეკვაო **საღამო.**

**სიტყვა, მუსიკა, ცეკვა.** 1) გალ. ტაბიძე—**„პოეზიის გამართლება“**, 2) შალ. დადიანი—**„რუსეთი საქართველოს მფარველობის ქვეშ“** (შარჟი), 3) ა. ოჰანეზაშვილი, აღმოსავლეთის მუსიკის მაესტრო—**პიანური**, 4) მ. დევაძე—**თარი**, მაპურ, 5) ალ. მაისურაძის გუნდის ქალთა ტრიო, (დანი ნაზიჭკრიშვილის ასულნი და ხუციშვილის ასული) 6) **პარტიული ოთარბეგი**, ახალი შარჟი „ღალატიდან“, ზ. ზემოხანდაკელის, 7) **ცეკვა** შეჯიბრებით (ლეკური თარაქამა და სხ.), მონაწილენი (ანბანით): ანდრონიკაშვილი ელ., ახვლედიანისა დ., ბერიძე თ., გრიშაშვილი ი., დადიანი შალ., დევაძე მ., ძარიჯანი, კირვალიძე ვ., საათაშვილი ივ., ტაბიძე გალ., ფაშალიშვილი ს., ქუჩიშვილი გ., შინატეხელი გ., და სხ. დასაწყისი საღამოს 7 ს., ბილეთები ქართულ კლუბის კასაში იყიდება. 1—1

კვირას 8 ქრისტეშობისთვეს შუადღის 12 საათზე

**ქართულ კლუბის დარბაზში**

დანიშნულია დამოუკიდებელთა კავშირის (უპარტიოთა)

**საზოგადო კრება**

**დღიური წეს რიგი:** 1) კავშირის დებულებათა განხილვა

2) ვ. აფხაზის მოხსენება: საქართველოს პარლამენტი და მისი მოქმედება

3) მიმდინარე საკითხები

4) კავშირის საბჭოს წევრთა არჩევნები.

**კავშირის საბჭო.**

(1—1995—1)

**სახელმწიფო თეატრი**

**საოპერო დასი ევლახოვისა**

შაბათს, ქრისტეშობისთვის 8-ს, **ბენეფისი ა. ს. კანშინისა.**

**ნერონი**

მონაწილეობენ: შულგინისა, შვამბერგი, პოლიაევი, მოლჩანოვი და ისეცკი.

**ფასები შესამჩნევად დაწეულია.** — **დასაწყისი საღ. 7 ნახ. საათზე.**

კვირას, ქრისტეშობისთვის 8-ს დილით—**„ჟიდოვკა“** მონაწ.: შვამბერგი, მარკოვისა, ისეცკა და მალჩანოვი. **სალამოთი — „ლაკმე“** მონაწ.: საბანეევისა, ორდა და ზალიპსკი.

სამშაბათს, ქრისტეშობისთვის 10-ს **„აიდა“** მონაწ.: ალეშკო, კანშინა, ორდა და ისეცკი.

ოთხშაბათს, ქრისტეშობისთვის 11-ს **„ჰოფმანის ზღაპრები“** მონაწ. საბანეევასი, ზალიპსკი, ნიკოლოვი. ორდას დადგმით.

## პარტიულ პოლიტიკისთვის

ამ საერთო ნგრევისა და გარდაქმნის დროს, როცა შეირყა არა მარტო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობა, არამედ მთელი კულტურის საფუძველი, ეროვნულ-დემოკრატიას არ ავნებს ძველი პრინციპების გახსენება. საჭიროა ნათელი სახელმძღვანელო იდეები, რათა პარტია არ დაიბნეს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ლაბირინტში.

მოვიხედოთ უკან. გავიხსენოთ ჩვენი პირველი დღეები. რა იარაღით გამოვედით სოციალისტების წინააღმდეგ საბრძოლველად? რაში იყო ჩვენი ძლიერი და მათი სუსტი მხარე?

ამაღლებული და მომხიბლავი მიზნების დახატვა არ წარმოადგენდა ჩვენს უპირატესობას. ამ მხრივ შეიძლება მოწინააღმდეგენი გვჯობნიდნენ კიდეც. თუ მიმზიდველია ეროვნული სახელმწიფოს იდეა, არა ნაკლებ მიმზიდველია სოციალისტური სახელმწიფოს იდეაც. ფართო, ბეჩავი მასისთვის შეუზღუდავი ბედნიერების უტოპიას კიდევ მეტი შთამაგონებელი ძალა აქვს.

ჩვენი სიძლიერე ჩვენს ფხიზელსა და მამაკაცურ აზროვნებაში მდგომარეობდა. ჩვენ ვამტკიცებდით, რომ ყოველს ერს ჩანერგილი აქვს გაფართოებისა და სიძლიერის აზრი და აქედან გამომდინარეობს ეროვნული ბრძოლა, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კლასობრივი ან წოდებრივი წინააღმდეგობა ერის ორგანიული მთლიანობა შეურყეველია შინაგანი კონფლიქტებისა და კრიზისების მიუხედავად. ინტერნაციონალი კი ისტორიულად განსაზღვრული მოვლენაა, გამოწვეული კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის გამაერთიანებელი და გამათანასწორებელი ტენდენციების მიერ.

ამის წინააღმდეგ სოციალ-დემოკრატები კლასობრივი პრინციპის უპირატესობას იცავდნენ. ამტკიცებდნენ რომ კლასობრივი წინააღმდეგობა უფრო ღრმაა, ვიდრე ეროვნული, რომ სხვა და სხვა ერის ჩაგრულ უმრავლესობას ურთიერთს შორის არაფერი აქვს გასაყოფელი. აქედან გამომდინარეობდა მათი უნდობლობა საქართველოს სახელმწიფოებრივი იდეისადმი. ებრძოდნენ არა თუ დამოუკიდებლობის, თვით ტერიტორიული თვითმმართველობის აზრსაც. სტატისტიკისა და პოლიტიკური ეკონომიიდან მოტანილი არგუმენტებით ამტკიცებდენ, რომ საქართველოს სხეული დაშლილია და აღარ შეუძლია უმზრუნველოთ არსებობა. როცა მათი იმედებისა და მოლოდინის წინააღმდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება აუცილებელი გახდა, მათ ეს მიიღეს როგორც დიდი უბედურება, როგორც შედეგი სოციალისტური დემოკრატიის დამარცხებისა.

საგნობრივი ლოგიკა მათ უბიძგებდა უჩვევი გზებისაკენ. პირველ დღეებში ქართველ სოციალისტებს დიდად ეუცხოებოდათ მინისტრების პორტფელები და სავარძლები. მზად იყვნენ ეროვნულ სახელმწიფოს ხუროთ მოძღვრება სხვებისთვის დაეთმოთ და ჩვეულს ოპოზიციაში გადასულიყვნენ, მაგრამ ქართველს ხალხში იმ ხანად არ აღმოჩნდა პოლიტიკური ძალა, რომელსაც მათი შეცვლა შესძლებოდა. აღმოჩნდა რომ ეროვნული დემოკრატია თავისი შემადგენლობითა და დისციპლინით ჯერ კიდევ არ სდგას თავისი პრინციპების სიმაღლეზე. ამის გამო სოციალდემოკრატიამ თავისდაუნებურად ეროვნული დემოკრატიის საქმე იკისრა.

უცილობელია ის ფაქტი, რომ ქართველთ სოციალდემოკრატია აღარ წარმოადგენს კლასობრივ პარტიას და არც კლასობრივ პოლიტიკას აწარმოებს: ეს ხალხი გაიმსჭვალა ეროვნული პათოსითა და ეროვნული იდეოლოგიით, რომელსაც თითქმის არაფერი საერთო არ აქვს მარქსისტულ სოციალიზმთან. ვის ინტერესებს იცავდა ბ. ჟორდანიისა და ბ. რამიშვილის მთავრობა, როცა ის სკოლისა, ადმინისტრაციისა ან სასამართლოს ნაციონალიზაციას ახდენდა? ვის ინტერესებს იცავდა ის, როცა ლორისა, ჯავახეთისა ან წალკის გულისთვის არარატის რესპუბლიკის წინააღმდეგ საომრად ემზადებოდა? არა მარტო პროლეტარიატისა ან ბოგანო გლეხებისთვის არის საჭირო ტერიტორიისა ან ენის დაცვა და ახოვანი სულიერი კულტურის შექმნა, არამედ ყველა ეროვნულ ელემენტებისთვის კლასობრივი მდგომარეობის მიუხედავად. და სოციალდემოკრატიული მთავრობაც სწორეთ ინტეგრალურ ეროვნულ პოლიტიკას აწარმოებს როგორც შიგნით, ისე გარეთ.

ასეთი მდგომარეობა დიდს ხიფათს შეიცავს ეროვნული დემოკრატიისთვის. სოციალდემოკრატია, რასაკვირველია, თვითონვე კარგად გრძნობს, რომ უცხო ნიადაგზე დადგა. დღეს იმათ ჩვენ წინააღმდეგ აღარ შეუძლიათ იდეური ბრძოლის წარმოება, რადგან თითქმის ყველა ჩვენი პრინციპები შეითვისეს. პარტიული სიწმინდის შესანარჩუნებლად ჩვენ უნდა გადმოგვრეკონ საერთო ასპარეზიდან. დახელოვნებული ხელმძღვანელები შეუდგნენ კიდეც ამ საქმის შესრულებას. ცდილობენ ჩაგვაგონონ, რომ ნამდვილი ეროვნული პარტია სოციალდემოკრატიაა ხოლო, ნამდვილი კლასობრივი პარტია ეროვნული დემოკრატია. ეს შთაგონება მოქმედობს ზოგიერთ ელემენტებზე, რყევა და არევ-დარევა შეაქვს ჩვენს პარტიულ რაზმებში.

დამღუპველს პოლიტიკურს შეცდომას ჩავიდენთ თუ ახლავე არ შევაჩეროთ ეს იერიშები. ეროვნული პოზიციების დათმობა და კლასობრივ პოზიციებზე დახევა უეჭველ დამარცხებას გვიქადის. მით უმეტეს თუ ისეთი კლასებისა ან საზოგადოებრივი ჯგუფების მეთაურობა ვიკისრეთ, რომელნიც მთელი ერის მცირეოდენ ნაწილს წარმოადგენენ.

ჩვენ პარტიას ჩამოსცილდნენ ადამიანები, რომელთაც თავიანთი პოლიტიკური კარიერა ყოფილი თავადაზნაურობის ბედს დაუკავშირეს. უკიდურესმა მემარცხენე და უკიდურესმა მემარჯვენე პრესამ ეს ამბავი იდღესასწაულა როგორც დაარსება წმინდა ბურჟუაზიული პარტიისა. სპეკულიანტების იდეოლოგებიც გვიწოდეს. ეს არ არის გასაკვირალი. როგორც სოციალისტებისა ისე აგრარიებისთვის ხელსაყრელია საქმე იქონიონ ისეთ მოწინააღმდეგესთან, რომელიც ვიწრო კლასობრივ ან ჯგუფობრივ ნიადაგზე სდგას. მაგრამ ხელსაყრელი და შესაძლებელია თუ არა ეს ჩვენთვის?

ჩვენ ყოველთვის ვიცავდით მწარმოებელ კაპიტალს, როგორც ეროვნული ენერგიის ერთს ფორმას. ბურჟუაზია დღევანდელ პირობებში მწარმოებელი კაპიტალის საზოგადოებრივი მატარებელია. ამიტომ ბურჟუაზიის განვითარება საჭიროთ მიგვაჩნია თანამედროვე ეროვნული კულტურის შესაქმნელად. მაგრამ ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს თითქოს მხოლოდ ბურჟუაზიული კლასის ინტერესებს ვიცავდეთ ყველა სხვა საზოგადოებრივი კლასების საზარალოდ. ჩვენი

ჩვენი გაზეთის კანტორასთან დაარსდა

# „საქართველოს" რედაქციის ფონდი

## დაეხმარეთ ფონდის გაძლიერებას

პოლიტიკური მიზანი მაქსიმალური ჰარმონიის დამყარებაა და არა კლასთა ბრძოლის გაღვივება. ევროპისა და რუსეთის მაგალითმა დაგვანახვა რავდენად სახიფათოა ერის არსებობისთვის გადაჭარბებული კლასობრივი წინააღმდეგობა და სამოქალაქო ომი. თუ აღმოჩნდა, რომ ერთი რომელიმე კლასისა ან ჯგუფის ეგოისტური მიზნები მთელი სახელმწიფოს მიზნებს ეწინააღმდეგება, ჩვენ უსასტიკეს ზომებს მივიღებთ ასეთი კლასისა თუ ჯგუფის წინააღმდეგ, თუნდაც ის ბურჟუაზია იყოს. ყოველს შემთხვევაში ნაციონალდემოკრატიულ რეჟიმის დროს შეუძლებელი იქნებოდა ისეთი ვაკხანალია სპეკულიაციისა და გეშეფტმახერობისა, როგორსაც დღევანდელ სოციალისტურ რეჟიმის დროს აქვს ნიადაგი.

უკანასკნელი წლის გამოცდილებამ დაგვიმტკიცა, რომ სოციალისტების გაბატონება სრულიადაც არ ნიშნავს სოციალიზმის დამყარებას. სოციალდემოკრატიული მთავრობა რუსეთში იაკობინურ საქმეს აკეთებს, საქართველოში კიდევ, ეროვნულსა და დემოკრატიულს. ამაშია ერთნაირი სიყალბე მათი მდგომარეობისა. ამ ადამიანებს მოუხდებათ ან თავიანთი კლასობრივი იდეოლოგიის გადასინჯვა ან უარის თქმა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაზე. ეროვნულ დემოკრატიას ამ მხრივ დიდი უპირატესობა აქვს. ჩვენთვის ეროვნება და დემოკრატია ცარიელი სიტყვები კი არა, შეურყეველი პრინციპებია. ამიტომ დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ შეგვშვენის ბრძოლა ძალაუფლების ხელში ჩასაგდებათ.

## დაშნაკცუტიუნის აღსარება.

პოლიტიკური ატმოსფერა თანდათან იწმინდება. ის, რაც ამ ახლო წარსულში ბევრისათვის გამოურკვეველ და ბუნდოვან მოვლენად ისახებოდა, დღეს უკვე ნიღაბ ახდილია, ხელოვნურად შეუკოწიწებელია, ბუნებრივია და, მაშასადამე, ნამდვილ ზრახვათა მაჩვენებელია.

ამიერ-კავკასიაში წარმოშობილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა შორის სომხეთის რესპუბლიკას განსაკუთრებული მდგომარეობა უჭირავს, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ სომხის ხალხის პოლიტიკურ ხელმძღვანელთა სახელმწიფო იდეალები არსებითად ეწინააღმდეგება არარატის რესპუბლიკის ორივე მეზობელ ერის პოლიტიკურ სუვერენიტეტის განმტკიცებასა და განვითარებას.

ჩვენ გვარწმუნებდნენ, რომ სომხობის პოლიტიკის სპეციფიური მიმართულება დაშნაკცუტიუნის თაღლითობის ბრალია და იმ დღიდან, როდესაც „სომხის დემოკრატია" დაშნაკცაკანების ავანტიურას თავს დაახწევს, კავკასიაში მოსახლე ერთა შორის სოლიდარობა და მყუდრო ცხოვრება დამყარდება.

ჩვენ-კი წინადაც ვამბობდით და ეხლაც განმეორებით ვამტკიცებთ, რომ უდიდესი ნაწილი სომხის ხალხისა დაშნაკცუტიუნის პარტიას სრულის შეგნებით მისდევს და სჯერა, რომ იგი სომხის ერის მისწრაფებათა საუკეთესო გამომხატველია.

როდის ჩამოსცილდება „სომხის დემოკრატია" დაშნაკცუტიუნის მაპნოზს, — ეს ფრიად შორეული მომავლის საკითხია და, ვფიქრობთ, რომ პერსპექტიულ ძალთა განწყობილებას რაიმე გავლენის მოხდენა შეეძლოს დღევანდელ ურთიერთობაში.

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც „სომხის დემოკრატია" ბაქოში „თავდადებულად" იბრძოდა ხავთის ქალაქის ბოლშევიკებისათვის გადასაცემად და თვით საქართველოს სატახტო ქალაქი რამდენიმე დღის განმავლობაში მათი შეერთებული თავდასხმის მოლოდინში მოუმზადებელი და უორგანიზაციო ძრწოლაში იყო — ჩვენ საბოლოოთ დავრწმუნდით, რომ სომხის ხალხის მიერ არჩეული გზა საქართველოს დამოუკიდებლობას დაღუპვას უმზადებდა. შეთანხმება შეუძლებელი გახდა განსაკუთრებით მას შემდგომ, როდესაც არარატის რესპუბლიკამ „ირრედენტისათვის" პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა და საქართველოს წინააღმდეგ მახვილი იშიშვლა. ჩვენი მმართველი წრეები-კი დაჯერებული იყვნენ, რომ ყოველივე ამაში „სომხის დემოკრატიას" წილი არ მიუძღვის და დაშნაკცუტიუნის პოლიტიკური და ტერიტორიული ტენდენცია კავკასიის სახელმწიფოთა და ხალხთა სამშვიდობო კონფერენციაზე ამ „დემოკრატიისაგან" დაგმობილი იქნებოდა. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც დავინახეთ, რომ დაშნაკცუტიუნის მოქმედება მთელი სომხობისაგან წინდაწინვე ნაკურთხია: სომხეთმა უარი განაცხადა კონფერენციაში მონაწილეობაზე და საგრძნობლად გამოააშკარავა, საიდან მოელის დახმარებასა და ნამდვილ გარანტიას „მეწ ჰაიასტანის" შექმნისათვის!

საქართველოს ტერიტორიაზე სულ უკანასკნელ დროს მომხდარი აღმაშფოთებელი ამბები ცხად ჰყოფენ დაშნაკცუტიუნის სულისკვეთებას. ომის ბედის გადატრიალებამ ხომ პირდაპირ არწივის ფრთები შეასხა ზინვორების პარტიას. ინგლის-საფრანგეთის გამარჯვებაში დაშნაკცუტიუნი ძველი პოლიტიკური წყობილების აღდგენას ჰხედავს და საქართველოს დამოუკიდებლობის აღსასრულის დღეებს კმაყოფილებით ითვლის.

სამშვიდობო კონფერენციაზე ჩვენი მართებლობა იმ ხალხს იხმობდა, რომელმაც არარატის რესპუბლიკის ირგვლივ „ოთხივე მხარე" ირრედენტად გამოაცხადა! შეთანხმება გვსურდა იმ სახელმწიფოსთან, რომლის ხალხი საჯაროდ უარსაჰყოფს თვის დამოუკიდებლობას არსებულ პირობებში და, გარდა იმისა, რომ ევროპისაკენ გამსჭვრეტ აროდეს არსებულ სარკმელს მოითხოვს, თითქმის ყოველ მომიჯნავე სახელმწიფოს ედავება ამა თუ იმ ადგილს!

„ნორ-ორიზონ"-ის დაშნაკცაკანებს უმეტესად ის გარემოება აღელვებს, რომ „საქართველო შეიცავს თითქმის იმდენსავე სომხებს, რამდენსაც თვით სომხეთი", რის გამო, აცხადებს გაზეთი, „სომხეთის თვითმყოფობის იდეა ჩვენთვის არც ისე მიმზიდველია". დაშნაკცუტიუნის ცენტრალ კომიტეტის ოფიციოზი საქართველოსაგან ლორისა და ჯავახეთის გადაცემას მოითხოვს „ჩვენის ქვეყნისთვის", როგორც ამჟღავნებს საქართველოს დედა-ქალაქში გამოცემული სომხეთის პოლიტიკური გაზეთი...

სომხების აჩირებულ პრეტენზიებზე ბევრი რამ ანეგდოტური გვსმენია, მაგრამ იმას კი არ მოველოდებოდით, რომ ანეგდოტურ საგანზე დაშნაკცუტიუნის პუბლიცისტები სერიოზულ მსჯელობას გაჰმართავდნენ და უაზრო საბუთების მოყვანით ზედმეტად დაგვარწმუნებდნენ თავის პოლიტიკურ სიბეცეში.

დღევანდელი საერთაშორისო განწყობილება დაშნაკცუტიუნის პარტიას წარმოდგენილი აქვს მხოლოდ სომხეთის სასარგებლოდ. ინგლის-საფრანგეთის მიერ მცირე აზიაში გერმანიის შეცვლამ დაშნაკცუტიუნს საზღაპრო პერსპექტივები დაუხატა, რომლის განხორციელება, სომხის პოლიტიკოსების რწმენით, ინგლისისა და რუსეთის ისტორიულ მისსიას შეადგენს! აკი იმიტომ ქუჩაში მიმავალ ინგლისელ უბრალო ჯარის-კაცს ექზალტაციაში მოჰყავს სომეხი „ანგლომანები"... დენიკინისა, ან რომელიმე ბიჩერახოვის შემოსვლას იგივე „ანგლომანები" უალრესის აღტაცებით მიეგებებიან, რადგანაც მაშინ, „ორიზონის" აღსარებით, „ჩვენ, თუმცა მოკლებული ვიქნებით საეჭვო, უაზროსა და უშინაარსო „დამოუკიდებლობას", მაგრამ ამის ნაცვლად გვექნება მთლიანი ქვეყანა და მთლიანი ერი, თუნდაც უცხოთა მფარველობის ქვეშ"...

იქნებ, ამ უმაგალითო გულახდილმა აღსარებამ გონს მოიყვანოს ჩვენი მმართველი წრეები, რომელთაც „სომხის დემოკრატიის„ დაშნაკცუტიუნის ზეგავლენისაგან განთავისუფლების მოლოდინში, ანგარიშიდან ეკარგებათ ანდრანიკის ზინვორების სომხეთი, ყოველივე საშუალებით რომ ცდილობს საქართველოს დამოუკიდებლობის დამხობას.

მაგრამ, საბედნიეროდ, თვით ქართველმა ერმა იგრძნო, საიდან მოელის დამოუკიდებელ საქართველოს საფრთხე! განთავისუფლებულ სამშობლოს მონობის უღელ ქვეშ მოქცევა შესაძლებელი იქნება უკანასკნელი ქართველის გვამის გადალახვით და ეს მტერს რიგიანად შეთვისებული უნდა ჰქონდეს!

სომხის უანგარიშო პოლიტიკოსებისათვის ულმობელ ისტორიას უწინაც სასტიკი მარცხი მიუყენებია და, ჩვენ ვფიქრობთ, ასეთივე ხვედრი მოელის მათ დღევანდელ სერვილიზმსაც.

**რ. ინგილო.**

## გაკოტრების აჩრდილი

რომელი ქართველი იქნება, რომ დღეს თავს ბედნიერად არ გრძნობდეს იმის გამო, რომ სხვისი მონა არ არის...

რა ვაებით და რა შიშით უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ვაი თუ ოდესმე კიდევ დავკარგეთ თავისუფლება, კიდევ გავხდით ვისიმე მონები!?

ღმერთმა ნუ ჰქნას ასეთი წუთი, რომ რუსეთის მთლიანობის ე. ი. რუსეთის ბატონობის იდეამ გაიმარჯვოს და ჩვენი თავისუფლება მოისპოს. ამას ყოველ შეგნებულ ქართველს ათასჯერ ურჩევნია სიკვდილი.

მაგრამ ვაი, რომ ჩვენს ბედნიერებას თვით ჩვენზე ჩვენისავე ხელით ვუთხრით ძირს...

უპირველესი მტრბეი ჩვენის თავისუფლებისა ვართ ჩვენ თვითვე.

— რითი? იკითხავს მკითხველი.

— ჩვენი სამშობლოს ქონების დაუზოგაობით; ჩვენის ძარცვა-გლეჯით, ქურდობით, გაუმაძღარი მადით, უთავბოლობით და ფლანგვით.

მინისტრებიდან დაწყებული ტყვიბულის მუშებამდე ყველა დაუზოგაობას ვიჩენთ...

რად და რანაირათ?

ვგონებ ყველა დამეთანხმება, რომ ამდენი მოხელენი, რაც ჩვენ გაგვიჩნდა თვით რუსეთსაც არ ჰყოლია კავკასიაში ომის დროს...

ერთხელ ერთმა ენა წყლიანმა ვექილმა კ. ჩ—ძემ ანდაზა მოიყვანა: „ხოპინტურს ათი გლეხი, ოცდაათი ხელოსანიო".

რაღაც ორ მილიონი მცხოვრებლები ვართ და უთვალავი მოხელეები გვყავს. ყოველს დარგში ერთი ორათ თუ ერთი სამათ მეტი მოხელეები გვყავს. ჯერ სამინისტროებიდან რომ მოჰყვეთ იქაც იხილავთ, რომ ბევრი სამინისტროები გვაქვს და ბევრი მინისტრები გვყავს. მინისტრები, მათი ამხანაგები, დირექტორები, ვიცე-დირექტორები; უთვალავი კანცელარიის მოხელეები შუა საფეხურის დაწესებულებანი; უმცროსი დაწესებულებანი და კიდევ უმცროსზე უმცროსი დაწესებულებანი. თითქმის ყველა სამინისტროებში ესეთი საფეხურებია. ესე იგი რაც წინეთ არ იყო ბიუროკრატიული დაწესებულებანი, ეხლა ხუთჯერ უარესი ბიუროკრატიული ხასიათი მიიღო ჩვენმა დაწესებულებებმა და მათ ნაკლს უმეტესი მცონარეობა მიემატა და მეტი ტაციობა, მეტი უყურადღებობა.

გამონაკლისი რასაკვირველია დაწესებულებებშიც არის და პიროვნებათა შორისაც; მაგრამ უმრავლესობაში ჩვენს დაწესებულებებში რაღაც საშინელება ტრიალებს და ეს ყოველივე ძარცვა-გლეჯაზე, მექრთამეობაზე სახაზინო ქონების გაფლანგვაზე მის უყურადღებობაზე არის აგებული...

ყოველ დაწესებულებაში შეიძლება თუ 2 წილით არა ნახევრად მაინც შემოკლება შტატებისა და მუშაობის ინტენსივობის აღდგენა; მაგრამ ამაზე არავინ სცდილობს.

მიდის ეს უარმავი ფული და ქონება. უთავბოლოდ, უანგარიშოდ, დაუზოგავად. თუ ასე გაგრძელდა ვაი ჩვენი ბრალი, არავითარი საშვალება არ გვეყოფა მხოლოდ ამ უარმავი ნახევრად მჭქთა და საზარალო მოხელეთა შესანახად. ჩვენი ხაზინა მათ შენახვასაც თუ შესძლებს და კულტუროული საჭიროებისათვის და ცხოვრების გასაუმჯობესებლათ კი რასაკვირველია სად ექნება საშვალებანი...

ჩვენი ხაზინა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაკოტრებისკენ მიექანება.

საკვირველზე საკვირველი ისაა, რომ ყველგან უპირველეს ადგილზე (გამონაკლისებიც არის რასაკვირველია) სულ ურიგო ხალხი ექცევიან, პატიოსანი ხალხი კი უფრო განზე სდგას და მათ ყველგან ნაკლებათ იღებენ: სამწუხაროდ არც თითონ ცდილობენ საქმეებში ჩარევას, ის კი არა ბევრი კიდეც გაურბის სამსახურს.

თუ ასეთი მდგომარეობა კვლავ დიდ ხანს გაგრძელდა უთუოდ გაკოტრება მოელის ჩვენს ხაზინას, ხოლო ჩვენს მთავრობას დამხობა.

რა წამალია ამისთვის საჭირო? დღემდის ასე ვთქვათ ჯერ კიდევ ახალი საქმე იყო ჩვენი შინაური მოწყობა და ბოროტმოქმედების თავიდან აცდენა თითქმის შეუძლებელი იყო. მაგრამ უკვე ექვსი თვის თავისუფლების თავი ვიდღესასწაულეთ. აწ საჭიროა ნაბეგრად მაინც შტატების შემოკლება; ბევრი დაწესებულების სრული ლიკვიდაცია, მუშაობის ინტენსივობა და დაუზოგავი დევნა ბოროტმოქმედებისა, მექრთამეობისა, უყურადღებობისა, ფლანგვისა, უმამჭირნეობისა და მცონარეობისა,

**მ. გზიანი**

## პ რ ე ს ს ა

ინგლისელების ჩამოსვლაზე გაზეთი „ერთობა" სწერს:

„ინგლისის ესკადრის მოსვლა ჯერ სუხუმში, მერე ფოთში, ის სიტყვები, რომლებიც წარმოთქმული იყო ამ ესკადრის უფროსის მიერ, ამ მხრივ არავითარ ეჭვს არა სტოვებს. ფოთში ქალაქის თავმა და პოლკ. ჩხეიძემ გამოსთქვეს ინგლისელთა ესკადრის უფროსის წინაშე იმედი, რომ ინგლისი მხარს დაუჭერს საქართველოს დამოუკიდებლობას. ამის პასუხად ესკადრის უფროსმა სთქვა, რომ „ინგლისი ყოველთვის ყოფილა მცირე ერთა დამცველი და იგი ამ შემთხვევაშიაც ასე მოიქცევა". თუ კი სიტყვები რამეს ნიშნავს, თუ კი სიტყვებს იმიტომ არ ამბობენ, რომ მერე ნათქვამის წინააღმდეგ მოიქცნენ, ესკადრის უფროსის სიტყვების აზრი ნათელია: არავითარი ძალდატანება საქართველოს რესპუბლიკის წინააღმდეგ არ შედის ინგლისელთა გეგმაში.

მიზეზი ამნაირ კეთილგანწყობილებისა საქართველოსადმი, მარტივია. ინგლისის ესკადრის უფროსს გამოუთქვამს „თავისი გაკვირვება იმ წესიერების გამო, რომელიც გამეფებულია (საქართველოს რესპუბლიკის) ტერიტორიაზე. ამნაირი წესიერება მას არ უნახავს არსად შავი ზღვის სანაპიროებზე.

ამ დღეებში ასეთივე სიამოვნება გამოხატა საქართველოს რესპუბლიკაში ნახულ წესიერების გამო ბაქოდან მოსულმა ინგლისის მაიორმა მაკდონალდმა. მან პირდაპირ სთქვა, საქართველოს რესპუბლიკაში რომ ფეხს შემოსდგამ, ევროპის სუნი გეცემაო. ამნაირათ, როგორც აღმოსავლეთიდან, ისე დასავლეთიდან მოსულმა ევროპიელებმა ერთი და იგივე შეხედულება გამოსთქვეს საქართველოს რესპუბლიკის შესახებ.

მეორე გარემოება, რომელსაც კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია ინგლისელებზე, იმაში მდგომარეობს, რომ „საქართველოს თავი დაუფარავს ბოლშევიზმისაგან".

როგორც ვხედავთ, ევროპიელების პატივისცემის დასამსახურებლად საჭირო ყოფილა სწორედ ის ორი გარემოება, რომლის შესახებაც ლაპარაკობდა მთავრობის თავმჯდომარე ნ. ჟორდანია საქართველოს დამოუკიდებლობის ნახევარ წლის დღესასწაულის გამო. თავის სიტყვაში მან ის აზრი გაატარა, რომ საქართველოს რესპუბლიკას ორი ძვირფასი რევოლუციის მონაპოვარი აქვს შენარჩუნებული — წესიერება და თავისუფლება. „მხოლოდ ჩვენში თავისუფლებას არ მოუსპია წესიერება და წესიერებას არ ჩაუხრჩვია თავისუფლება". სწორედ ამ ორ მხარისთვის მიუქცევიათ ყურადღება ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებს: მათ, ჯერ ერთი, ის მოსწონებიათ, რომ ჩვენში უკეთესი წესიერებაა, ვიდრე სხვაგან. მეორე ის, რომ აქ ფეხი არ მოუკიდია ბოლშევიზმს, რომელმაც რუსეთში გაანადგურა თავისუფლების უკანასკნელი ჩანასახიც-კი, რომელმაც ფეხქვეშ გათელა პიროვნების ელემენტარული უზრუნველყოფა.

„წესიერება და თავისუფლება", — აი საძირკველი, რომელზედაც დამყარებული იქნება საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა. ჩვენი რესპუბლიკა ამ საძირკველზე შენდება, — ეს ამსგავსებს მას ევროპიულ სახელმწიფოებს და ეს მოუპოვებს მას ევროპიელთა პატივისცემას.

## გენ. ტომსონის დეპეშა სომხების წინამძღოლებისადმი

მოკავშირეთა ჯარების სარდლისაგან გენ. ტომსონისაგან განჯისა და ყაზახის მაზრების სომხების წინამძღოლებმა ბაქოდან შემდეგი დეპეშა მიიღეს:

„ცნობები მაქვს, რომ განჯისა და ყაზახის მაზრებში სომხების მოსახლეობა უწესოებას იდენს და ძარცვა-გლეჯას ახშირებს. როგორც წარმომადგენელი მოკავშირეთა სახელმწიფოებისა, გიბრძანებთ, მიიღოთ ზომები და სრულიად მოსპოთ ყოველგვარი უწესოება და ძარცვა-გლეჯა. გადაეცით ყველა სომხებს, რომ მშვიდობიანად იყვნენ თავიანთ სახლებში. თუ ამ ბრძანებას არ შეასრულებთ, პირადათ იქნებით მიცემულნი სამართალში, როგორც პასუხისმგებელნი.

ასეთივე დეპეშა გაეგზავნა ჯევანშირის მაზრის სომხების წინამძღოლთ. (აზ.).

## ქართველი ჯარი ახალციხესა და ახალქალაქში

სამხედრო სამინისტრომ შემდეგი დეპეშა მიიღო: 4 ქრისტეშობისთვეს საქართველოს რესპუბლიკის ჯარები შევიდნენ ახალციხეში. ღენ. მაყაშვილი ახალქალაქში შევიდა. პოლკ. ზაქარიაძე".

სამხედრო მინისტრმა ახალციხის და ახალქალაქის მაზრების ღენერალ-გუბერნატორისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: საქართველოს რესპუბლიკის ჯარები 4 ქრისტეშობისთვეს 19 ს. შევიდნენ ახალციხეში. მოსახლეობა აღტაცებით შეეგება. ჯარი კერძო ბინებში დაბინავდა, რადგანაც სახელმწიფო შენობები დაზიანებულია. დიდ-ძალი ტყვია წამალი ჩაყრილია წყალში. ხვალ ამოღებას ვეუდგები. ყველა ეროვნებათა წარმომადგენელნი საქართველოს რესპუბლიკისადმი ერთგულებას აცხადებენ.

გენერალ მაიორი მაყაშვილი·

ახალქალაქიდან სამხედრო მინისტრის სახელობაზე შემდეგი დეპეშა მოვიდა: „5 ქრისტეშობისთვეს დილის 10 საათზე ახალქალაქში შევედით. მცხოვრებნი სიხარულით შეგვხვდნენ დ პურმარილით. ირგვლივ ძარცვაგლეჯა სწარმოებდა. მიღებულია უკიდურესი ზომები. გაგზავნილია წინა-ჯარი. მცხოვრებლებს გამოეცხადათ, რომ დაბრუნდნენ თავთავიანთ ადგილას. ოფიცერთა ერთი შენობა ოსმალების მიერ დანგრეულია. ჯარის სულიერი განწყობილება მხნეა.

**გენ.-მაიორი მაყაშვილი.**

## შეცდომის გასწორება

**ჩვენი გაზეთის გუშინდელ №-ში შეცდომით იყო დაბეჭდილი ანშლანგი: „დღეს ლატარიის დღეა". ნამდვილად ლატარიის დღე გაიმართება კვირას რვა ქრისტეშობისთვეს.**

## ქრონიკა

**მილიცია და ერობა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიამ აცნობა ადმინისტრაციულ ნაწილს, რომ ერობათა წარმომადგენელთა ყრილობამ, რომელიც მინისტრის თავმჯდომარეობით მოხდა გიორგობისთვის 6-ს დაადგინა მილიცია დაექვემდებაროს და საერობო დაწესებულებების სრულ გამგებლობაში გადავიდეს.

**სომეხთა ლტოლვილნი.** სომეხთა ლტოლვილების კომიტეტის განყოფილება სთხოვს არარატის რესპუბლიკის მთავრობას სახსარს 80,000 მ. ლტოლვილის ჩრდილო-კავკასიიდან დასაბრუნებლად.

**არარატის დიპლომატიურ** წარმომადგენელმა თხოვნით მიმართა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ შეაჩეროს ყოველივე ცნობის მიცემა ადერბეიჯანის წარმომადგენლისადმი ვიდრე მდგომარეობა ადერბეიჯანსა და სომხეთის საზღვრების შესახებ გამოირკვეოდეს.

**ნავთი.** საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ ნება დართო ნავთის ბაქოდან ბათუმში გადაქაჩავებისა იმ პირობით, თუ ბაქო მისცემს საქართველოს საჭირო ნავთს.

**სახოფლო კომისიამ,** აღმასრულებელი კომიტეტისამ, მიმართა ყველა პროპაგანდისტებს მომუშავეთ ყველა მაზრებში და რაიონებში, ხელი შეუწყოს გვარდიის დღეს.

**განათლების სამინისტრომ** მიჰმართა ყველა სასწავლებლის მმართველებს, რომ ცნობები მიაწოდონ.

**ინგლისის მისიის თხოვნა.** საქართველოს მთავრობის რწმუნებული ადერბეიჯანის რესპუბლიკაში ბ-ნი ქარცივაძე დეპეშით ატყობინებს გზათა მინისტრს, რომ თანახმად ინგლისის მისიის თხოვნისა, აცნობონ მას რამდენ ორთქლმავალსა და საქონლის მატარებელს დაუთმობს საქართველოს გზათა სამინისტრო ინგლისის მისიას საქონლის გადმოსაზიდად.

**ყარაიის მგზავრების თხოვნა.** მიწადმოქმედების სამინისტრომ შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა გზათა სამინისტროს: „მიწადმოქმედების სამინისტრო ამ ჟამად ასახლებს უმიწაწყლოებს ყარაიის ველზე, რის გამო ბევრ მოსახლკარეს და აგრეთვე სხვა დაინტერესებულ პირთ სამხედრო უწყების, სახალხო გვარდიის წარმომადგენელთ ყოველდღე უხდებათ ამ საქმეების გამო მოგზაურობა ყარაიაში, და რადგანაც მატარებელი გადის თბილისიდან დღის $3^1/_2$ და ყარაიაში საღამოს 5 საათზე ჩადის, მგზავრებს უგვიანდებათ და იმ დღესვე ვერ ასწრებენ თავის საქმის მოგვარებას და იძულებულ ხდებიან მეორე დღემდე უცადონ. მოუწყობლობის გამო გაჭივრებულ მდგომარეობაში არიან. ამისთვის რაც შეიძლება შესცვალეთ მატარებელთა მიმოსვლის დრო ისე, რომ მატარებელი დილის 8 საათზე გადიოდეს, რათა მგზავრებმა იმავე დღეს შეასრულონ დავალებული საქმეები.

გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ მოსკოვიდან ჩამოსულებმა თუ რამე უწყიან პოლკ. იაშვილის რაზმის ადიუტანტ გიორგი ლაზარიაშვილის შესახებ შემდეგი მისამართით შეატყობინონ: თონეთის შესახვევი № 24.

## პროვინციის ცხოვრება

**ს. სტეფანწმინდა.** ს. სტეფანწინდაში (ყაზბეგი) ფოსტა-ტელეგრაფის საწყობს დაეცნენ შეიარაღებული ავაზაკები საწყობის ქონება გაიტაცეს.

**თელავის მაზრა.** თელავის მაზრაში იარაღის აყრა გრძელდება. შეიპყრეს ზოგიერთი ავაზაკები. მათგან დახვრიტეს შემდეგნი: 1) ძონძის ბიჭი, 2) ყარა ალიქიში ოღლი, 3) ჭუაჭე, ბრუციანათ წოდებული, 4) თუშიშვილი, 5) ტყის ძმები: სესიაშვილი, 6) ნადირაშვილი, 7) ბაგრატა, 8) ოთხი ავაზაკი ს. კურდღელაურელი, 9) 2 ავაზაკი ს. ვარდისუბნელი და 10) 2 ავაზაკი სოფ. რუისპირელი, სულ 14 ავაზაკი. არიან დაჭერილებიც.

**იმერეთი.** გავრცელდა საქონლის ჭირი.

**ს. სანოდო** (სამეგრელო). ავაზაკები თავს დაესხნენ მატრონა, მინადორა და ცაცუ კიზირიებს. სროლის დროს მოჰკლეს მატრონა კიზირია და ცაცუ დასჭრეს. ადმინისტრაციამ ავაზაკები შეიპყრო.

**ს. ნოხირი.** მოჰკლეს ნიკოლოზ (ალიბეგ) შათირიშვილი. მკვლელი შეიპყრეს.

## პარტიული ცხოვრება

### პარტიულ ორგანიზაციებს!

საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინონ ქართული უნივერსიტეტის და თეატრის სასარგებლოდ გამართულ ლატარიის ბილეთების გავრცელების საქმეს.

დღეს, შაბათს, 7 ქრისტეშობისთვეს, საღამოს 6 ს., დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარი კომიტეტის კრება. ყველა წევრების დასწრება სავალდებულოა.

კვირას, 7 ქრისტეშობისთვეს, დილის 11 ს., მთავარ კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მთავარი კომიტეტისა, თბილისის ცენტრალურ კომიტეტის და ყველა რაიონულ კომიტეტების შეერთებული კრება. განსახილველია ფრიად საჩქარო საორგანიზაციო საკითხები. ყველა წევრების დასწრება აუცილებლად საჭიროა.

## საპარლამენტო ქრონიკა

გუშინ, პარასკევს, დეკემბრის 6 შესდგა საქართველოს პარლამენტის მორიგი სხდომა. რ. არსენიძის მოხსენებით დამტკიცებულ იქმნა საბოლოო ტექსტი—სახელმწიფო კონტროლის: 1) დებულებისა, 2) სარევიზიო წესდებისა და 3) შტატისა.

კანონპროექტი, შესახებ ძვირფას კულტურის მამულებში პროდუქტების რეკვიზიციისა, რომელიც წარმოდგენილ იყო მიწად მოქმედების მინისტრის ნოე ხომერიკის მიერ და მოწონებული აგრარული კომისიის მიერ, მთავრობის თავმჯდომარის თხოვნით მოხსნილ იქმნა დღის წესრიგიდან.

## თელავის მაზრაში

კახეთიდან დაბრუნებული თბილისის გუბერნიის კომისარი გენერალ-გუბერნატორი თელავის მაზრისა ბ-ნი მაღლაკელიძე თელავის ამბების შესახებ შემდეგს აცნობებს „საქართველოს რესპუბიკის" თანამშრომელს".

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ავაზაკობა:**

ავაზაკობის ისტორია, ბ. მაღლაკელიძის სიტყვით 1901—1905 წ. იწყება. ამ წლებში იწყებს ოპერაციებს ამ მაზრაში ნამდვილ ავაზაკთა ჯგუფი, რომელსაც დიდი კავშირი ჰქონდა ძველ რეჟიმის ადმინისტრაციასთან და ეს უკანასკნელიც თავის ძველ მთავრობის და ხალხის თვალის ასახვევად ვითომც აწყობდა მათ დევნის საქმეს, აქა-იქ უშედეგო შეტაკებებს ჰმართავდა, ნამდვილად კი ეს ჯგუფი თავისუფლად თარეშობდა და ბინებს იცვლიდა მხოლოდ, და ხალხშიც ერთნაირ პრესტიჟს იმსახურებდა იმ დევიზის გავრცელებით რომ „მდიდრებს ვართმევთ და ღატაკთ ვაძლევთო“. მეთაურების სახელიც „ჟორჟიკა“, „უტრუხუნე“, „ბაგრატა“, „ძონძის ბიჭი“ გულუბრყვილო ხალხს ენაზე ეკერა და ვინ იცის რა ფანტაზიებს არა სთხზავდენ იათზე.

**მიმბაძველები.**

ამ ფანტაზიებით და სურათებით იკვებებოდა ახალი თაობა და მის სწავლა-აღზრდის საქმეს დიდი მასალა ეძლეოდა ამ მხრივ. პატიოსან შრომის უნარს მოკლებული, მავნე წევრი საზოგადოებისა, სხვისი ოფლით ცხოვრებას შეჩვეულნი, გაიძვერა სამართლის მსჯავრიდან თავდაღწეული გარეწარი, ყველანი ტყისკენ თავს აფარებდენ და ადგენდენ ავაზაკთა ახალ დასებს ახალ-ახალი სახელებით.

**ახალი დრო.**

დადგა ახალი დრო, და რა მდგომარეობაში ჩავარდნენ ავაზაკები? ეშვებიან ტყიდან და ახალ სახელით ინათლებიან „ტყის ძმებად“. ხალხის წინაშე ბოდიშს იხდიან. ხალხი ნდობით იღებს და თელავშიც ასახლებს. იგინიც ხსნიან სამიკიტნოს, სადაც ბევრ „საჭირ-ბოროტო“ საკითხებსაც სწყვეტენ, როგორც კარგი „მოსამართლენი“. ამას წინათ უცაბედად ნადირობაზე მოკლულ ამ ავაზაკთა ლიდერის დაკრძალვაში მთელი თელავი მონაწილეობას ღებულობდა და დიდი სიტყვებიც დაიხარჯა. ავაზაკობა კი ამ მაზრაში არ სცხრებოდა და ჩვეულებრივ მით უმეტეს, რომ მათ ბანაკს უერთდებოდენ ახალ-ახალი ძალები დეზერტირები, და ამგვარი ტიპები ურიცხვი სხვა და სხვა ჯური თოფ-იარაღით ასხმულნი; ბოლო დროს ავაზაკობამ მწვავე ხასიათი მიიღო და მთელი მაზრა ტერორში ჩააყენა.

**ზომები.**

ასეთ მდგომარეობაში და პირობებში ჩავარდნილ მაზრაში ინიშნება გენერალ-გუბერნატორად ჩვენი მთავრობის მიერ ტფ. გუბერნიის კომისარი ბ-ნი მაღლაკელიძე. ამ ორ მმართულების ზუნებით გავარდნილ ყაჩაღთა და მათ მიმდევართა შექმნილ ატმოსფერაში უხდება შესაფერ ზომების მიღება ახლად დანიშნულ გენერალ გუბერნატორს.

**იარაღის აყრა.**

სამხედრო წესების გამოცხადების შემდეგ ბ. მაღლაკელიძე შეუდგა მთელ მაზრაში დაწყებული თელავიდან იარაღის აყრას. სოფლებში და ქალაქში ყველას იარაღს ჰყრიდენ და უტოვებდენ იმ შემთხვევაში, როცა თვით ბ. მაღლაკელიძის მიერ საქმის განხილვის შემდეგ რწმუნდებოდენ, რომ იარაღი მართლაც საჭირო იყო. მავალითად ბ. მაღლაკელიძის განკარგულებით იარაღი დაუტოვეს მეცხვარე თუშებს, რომელნიც მოსაზღვრეობენ ქისტეთ-ლეკებთან, საზოგადო ორგანიზაციებს და ნდობით აღჭურვილ პირთ.

**ავაზაკთა შეპყრობა**

ღენ. გუბერნატორი მაღლაკელიძე ჰმართავდა სოფლის ყრილობებს. ამ ყრილობებზე ხალხს წინადადება მიეცათ დაესახელებინად ის პირნი, რომელნიც მათ მიაჩნდათ საზოგადოებისა და სახელმწიფოსთვის მავნე ელემენტებად. ხალხიც თანხმდებოდა ამ წინადადებაზე, მხოლოდ ერთის პირობით, რომ ის პირნი, რომელთაც დაასახელებდა დაუყოვნებლივ იქმნენ გასამართლებულნი, ვინაიდან პრაქტიკით იციან, რომ ბევრჯელ დასახელებილი და მთავრობის ხელში გადაცემული ასეთი პირები გაუნთავისუფლებიათ და ახალ მხად მოვლენიან სოფლელებს და უფრო რეტი სისასტიკითურყრიათ ჯავრი მათზე. როცა მტკიცე პირობა მიიღო ხალხმა გენ. გუბერნატორისაგან, რომ წინანდელ მოვლენებს ადგილი აღარ ექნენება დღევანდელ პირობებში, მაშინ ხალხმა დაიწყო ამ გარეწართა დასახელება და 14 ავაზაკი კიდეც დახერიტეს.

**შეპყრობილთა ბედი.**

გარდა დახვრეტილ - მოკლულთა არიან აგრეთვე ამ ჟამად შეპყრობილნი ავაზაკობაში მონაწილენი და მფარველნი დახვრეტილ მეთაურებისა, რომელთა გამოძიების საქმეც ჯერ არ მომთავრებულა. მათი რიცხვი 25 კაცამდეა.

**მოხსენების შედეგი.**

გენ.-გუბერნ. მაღლაკელიძის მთლიან და დასაბუთებულ მოხსენების შემდეგ შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსთქვა სურვილი, რომ რაც შეიძლება მალე იქმნეს მოხსნილი სამხედრო წესები მაზრაში. ბ. მაღლაკელიძემ ამაზე მოახსენა მინისტრს, რომ მის მიერ უკვე მიღებულია მთელი წყება ზომებისა, რომ სამხედრო წესების მოხსნის შემდეგ დასტოვოს ისეთი მტკიცე და სანდო აპარატი, რომელიც უმტკივნეულოთ შეეცდება ამ მაზრაში ისეთ ზომების გატარებას, რომ ხალხის მშვიდობიანი ცხოვრება უზრუნველყოფილ იქნეს ერთხელ და სამუდამოთ. ამნაირ აპარატის შესაქმნელათ ბ. მაღლაკელიძეს მიერ მიღებულია ზომები, რომ შემდგარ იყოს ხელახლათ მთელ მაზრაში ახალი შემადგენლობით განსაკუთრებული მილიცია. მისი ბრძანებით უკვე დაპატიმრებულ არიან ბევრი საეჭვო მილიციონერი და კომისარი. გარდა ამისა მოწყობილ იქმნა ამ მაზრის მოსაზღვრე მაზრებში განსაკუთრებული სააგენტოები, ხალხის ნდობით აღჭურვილ აგენტებით, რომელიც დიდ სამსახურს გაუწევენ ცენტრალ აპარატს თელავში. მინისტრის მიერ მოწონებულ იქმნა ყველა ეს ზომები და ნება დართულ იქმნა გენ. გუბერ. მაღლაკელიძემ ჩასვლის უმალ შეადგინოს სამხედრო საველე სასამართლო დაპატიმრებულთა გასამართლებლათ და სამხედრო წესების დროთი მოხსნის შესახებ. ყველა ამ დირექტივებით გაემგზავრა ბ. მაღლაკელიძე ხელმეორეთ თელავში.

**ხ ა რ ჯ ი**

ღენერალ - გუბერნატორის მთელ შტატის შენახვას კისრულობს მთავრობა და თელავის ქალაქის თვითმართველობა და ხალხს არავითარი ბეგარა არ ჰხდება. ბ. მაღლაკელიძის რაზმს თან ახლავს თავისი საველე სამზარეულო და ყველა სურსათი.

# დეპეშები

(საქ. დეპ. სააგენტო)

**დროებითი ზავი უკრაინაში**

კიევი 1 ქრისტეშობისთვე. პეტლიურას და გერმანულ მთავარ სოვდეპის წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს დროებითი ზავის პირობებზე. პირობის ძალით დაწესებულია სადემორკაციო ხაზი უმთავრეს ფრონტზე.

**გერმანია და რუსეთი**

მოსკოვი 4 ქრისტეშობისთვე. „ფორფერტსი“ პროტესტს აცხადებს იმის გამო, რომ საბჭოების ყრილობაზე რუსეთის დელეგაციაც მოვიდა და ამბობს, რომ მოკავშირეთ არ შეუძლიანთ ერთ და იმავე დროს ომი აწარმოვონ რუსეთის ბოლშევიკების წინააღმდეგ და ზავი შეჰკრან გერმანიის ბოლშევიკებთან. „ფორფერტსი“ სწერდა, რომ რუსეთს უნდა ხელი შეუშალოს მოკავშირეთა და გერმანიის სამშვიდობო დამოკიდებულებას. „ფორფერტსის“ წინააღმდეგ ბერლინის საბჭო სალამს უძღვნის რუსეთის საბჭოს დელეგაციას.

**ბოლშევიკების სამხედრო მეცნიერება.**

იმის გამო, რომ ფართედ გაეღოს სამხედრო ცოდნის კარები პროლეტარიატის სამხედრო ხელმძღვანელთ, სამხედრო სასწავლებლების მთავარი გამგეობა ხსნის მოსამზადებელ კურსებს, რომლებზედაც მოკლე დროში შეეძლებათ სამხედრო მომზადება მიიღონ ნაკლებ ნასწავლთ და სრულიად უსწავლელთაც. მოსამზადებელ კურსებზე მყოფნი წითელ ლაშქრელებათ ჩაითვლებიან და იმავე დროს შეისწავლიან სამხედრო საქმეს. კურსებზე მყოფთ პოლიტიკური აღმზრდელობის ხელმძღვანელობა ეკისრებათ კომუნისტების გამოჩენილ წარმომადგენელთ!

**გერმანელები ოდესაში**

კურსკი. 4 ქრისტეშობისთვე. გერმანულ სარდლობას ეშინიან, რომ გერმანულ ჯარისკაცთა შორის არ გავრცელდეს ბოლშევიკური იდეები და ყოველ ზომას ხმარობს ევაკუაციის დასაჩქარებლად სამშობლოში.

მოსკოვი, 5 ქრისტეშობისთვე. დადგენილება მუშების და გლეხების თავდაცვის დაარსების შესახებ: საბჭოს მთავრობა დიდი საშიშროების წინაშე სდგას, რომელიც გამოიხატება მთელი ქვეყნის იმპერიალისტებას შემოსევაში. (დამახინჯებულია) ვ. ც. და კ. საჭიროდ სცნობს ერთი ათად გადიდდეს მუშების გლეხების და ჯარისკაცთა ძალა საბჭოს რუსეთის დასაცავად. ვ. ც, კ. 2 ენკენისთვის დეკრეტით საბჭოს რესპუბლიკა გამოცხადებულია სამხედრო ბანკათ და ეს დადგენილება სწორედ ეხლა უნდა იქმნას განხორციელებული სახელმწიფოს მმართველობის, სამეურნეო მოღვაწეობის და სხვა დარგებში. საჭიროა უზრუნველყოფილ იქნას ჯარი და აგრეთვე ცენტრის დიდი ქალაქები მოსკოვი, პეტროგრადი და სხვები სურსათით. ამისათვის საჭიროა მეტის ენერგიით და მოწადინებით ამოძრავდნენ ყველა სასურსათო და რკინის გზის დაწესებულებანი. (დეპეშის ბოლო არ მოსულა).

# უცხოეთის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან.

**ვილსონი და პოლონეთის აღმოსავლეთ საზღვრები.**

ვარშავის კორესპონდენტი ატყობინებს „კრაკოვს“ დაწვრილებით ცნობებს იმ აუდენციის შესახებ, რომელიც დმოვსკის და პოდამეკკის ჰქონდათ ვილსონთან. პოდამეკკი მიესალმა და მადლობა მიუძღვნა პოლონეთის ხალხის სახელით პოლონეთისადმი პრეზიდენტის კეთილი განწყობილების გამო. ვილსონმა სხვათა შორის უთხრა: „ჩვენ, ამერიკელები ვალს ვიხდით, რომელიც ჩვენ დაგვედვა იმ დროს, როცა ამერიკა დამოუკიდებლობისათვის იბრძოდა. ჩვენ არც როდის არ დავივიწყებთ იმას, რაც ამერიკელი ხალხისათვის გააკეთეს კოსტიუშკომ, პულავსკიმ და სხ. ბედნიერები ვართ, რომ ჩვენც დაგვიდგა დრო ვალის გადახდისა“. შემდეგ პრეზიდენტმა სთქვა, რომ ის და მთელი კოალიციაც აღიარებს პოლონეთის უფლებებს ხოლმშჩინასა, პოლესიეში და აღმოსავლეთ გალიციაში კამენეც-პოდოლსკამდე. პრეზიდენტმა კოალიციის სახელით ოფიციალურად გამოუცხადა, რომ ეს ადგილები პოლონეთს შეუერთდებათ.

**პოლონეთის ლაშქარი.**

პოლონეთის ლაშქარში ფიცი მიიღო და ჩაირიცხა 400 რუსის ჯარში ყოფილ პოლონელ ოფიცერმა. ფიცის მიღებას დაესწრო სარეგენტო საბჭოს წევრი ლიუბომირსკი, რომელმაც სიტყვით მიჰმართა პოლონეთის ჯარში დაბრუნებულ ოფიცრებს. ოფიცრებს დიდი აღტაცებით შეეგებნენ.

**კრაკოვი პოლონელთა ხელში.**

გალიციაში დაიწყო ავსტრიის სახელმწიფოებრივობის ლიკვიდაცია. მოძრაობამ სტიქიური ხასიათი მიიღო. კრაკოვში ავსტრიის საწინააღმდეგო მოძრაობა მაშინ უფრო გაძლიერდა, როცა ცნობა მიიღეს, რომ პერემიშლი მთელი თავის ავლა დიდებით სალიკვიდაციო კომისიის წარმომადგენელს გადაეცა. კრაკოვის შტაბის უფროსმა სტახოვიჩმა კრაკოვის ოლქის ყველა სამხედრო ორგანიზაციები როის განკარგულებაში გადასცა და მაშინვე დაიწყეს ავსტრიელ ჯარის იარაღის აყრა. 31 გიორგობისთვეს კრაკოვის ქუჩები და მოედნები ხალხით აივსო უცბად გაჰქრა ავსტრიული დროშები და მათ ნაცვლად ააფრიალეს პოლონური დროშა—არწივით. კრაკოვს იცავს პოლონელი ოფიცრობა და ჯარისკაცები. ბრძანებას სცემს როი. ავსტრიის სარდლობამ სიმაგრეები და სამხედრო საწყობები როის განკარგულებაში გადასცა. ავსტრიელი ოფიცრები და ჯარისკაცები სამსახურიდან გაანთავისუფლეს და სამშობლოში ბრუნდებიან. იარაღი აჰყარეს გერმანელ ჯარისკაცებსაც. კრაკოვში სამუდამოდ დასრულდა ავსტრიის ბატონობა და ქალაქი პოლონელთა ხელში გადავიდა.

**პოლონეთის სახელმწიფოს შინაური სესხი**

„ვარშაველ შათირის“ გადმოცემით პოლონეთის სახელმწიფოს ფინანსთა მინისტრმა პრესის წარმომადგენელებს შემდეგი განუმარტა შინაურ სესხის შესახებ: „პოლონეთის სახელმწიფოს მოწყობა დიდ ხარჯებს მოითხოვს, რაც შევვიძლიან მხოლოდ შინაური სესხის საშუალებით გავწიოთ. სარეგენტო საბჭო მთავრობის დადგენილებით კიდეც შეუდგა შინაურ სესხის მოწყობას. სესხი განაღდდება მარკების და კრონის ვალიუტით პოლონური 500,1000, 5000 და 1000 მარკის ღირებული ნიშნებით. სესხი იქნება 5 პროცენტიანი. ბილეთის სესხის მყიდველს ერთი წლის პროცენტი წინდაწინვე გამოებრება ღირებულების ნამდვილი ფასიდან. 1919 წლის გიორგობისთვეს პოლონეთის სახელმწიფო გამოისყიდის სესხის მოწმობებს იმავე ვალიუტით, რითაც იყო გაცემული, ხოლო თუ პოლონეთის სახელმწიფო ახალ ვალიუტზე გადავიდა, სესხის მოწმობების გამოყიდვა ოქროს ფასის ახალი ვალიუტით მოხდება. სესხი უზრუნველყოფილი იქნება პოლონეთის სახელმწიფოს ქონებით და შემოსავლით.

—

კრაკოვის საურთიერთო ნდობის საზოგადოებამ ხელი მოაწერა შინაურ 5 პროც. სესხის 3 მილიონ კრონზე.

**გემი „ვილსონის“ სახელზე.**

ვარშავის პრეზიდენტმა დრევეცკიმ უცნობისაგან 1000 მარკა მიიღო წერილით, რომელშიც თავის ვინაობას არ აცხადებს და სთხოვს პრეზიდენტს მიიღოს ეს წვლილი დანცეგში პირველი სავაჭრო გემის ასაშენებელი ფონდის დაარსებისათვის მხოლოდ იმ პირობით, რომ პირველ გემს სახელად „ვილსონი“ დაერქვას პოლონელების ვილსონისადმი მადლობის აღსანიშნავად.

**ანდრანიკი.**

„ნორ ორიზონი“ სარწმუნო წყაროებიდან იტყობინება, რომ ანდრანიკი ამ ჟამად ზანგეზურშია და ზაბუხის გასავალი უჭირავს. მისი ჯარი 12000 კაცისაგან შესდგება, ჰყავს 1600 ცხენოსანი საველე და სამთო ზარბაზნებით. ანდრანიკის ჯარში ბლომათ არიან მის მიერ ხოიში განთავისუფლებული ყუბანის, თერგის და ბაიკალის ყაზახის ოფიცრები. ამ მოკლე ხანში ანდრანიკმა თავისი რაზმები დაშალა და ახლად შეადგინა რეგულიარული ჯარი. ამას წინად ანდრანიკმა შუშაში ოსმალეთის სარდლობას თავისი წარმომადგენელი გაუგზავნა და ულტიმატუმი წარუდგინა, რომ რაც ყარაიასის რაიონში სომხობას ზარალი მოუვიდა, უნდა იქ მცხოვრებ მაჰმადიანებმა აუნაზღაურონ. ამ დღეებში ანდრანიკს თურქებთან შეტაკება ჰქონია, რომლის დროსაც მოუკლავთ ცნობილი მუსავატისტის ექ. სულთანოვის ორი ძმა.

# ედმონდ როსტანი

(ნეკროლოგი).

პარიზში გარდაიცვალა ფრანგი მწერალი ედმონდ როსტანი. როსტანი დაიბადა 1864 წ. 1890 წელს მან გამოუშვა წიგნი ლექსებით: „Les Musardises“, მაგრამ ამ წიგნს მისთვის სახელი არ მიუცია. პირველად მისი სახელი გაიხარდა „რომანსებით“ (კომედია ლექსად), რომელიც 1894 წ. კომედიის სცენაზე წარმოადგინეს. უფრო მოსწონდათ მისი: „პრინცესა-ზმანება“, „შანტეკლერი“, „სირანო-დებერჟერაკ“. მასვე აქვს სარრა ბერნარისთვის საგანგებოდ დაწერილი: „არწივის ბახალა“. როსტანი ფრანგულ აკადემიის წევრად ითვლებოდა. ბოლო ხანამდე პარიზში ცხოვრობდა.

# ქართველი ასურები

ძველი ქალდეა, (ასურისტანი) დამხობილ იქმნა და კულტურაც მოისპო.

ახალ დროის ქალდეველებს ძველების აღარაფერი ეტყობათ.

დღევანდელი ქალდეა სპარსეთის მონობის ქვეშ არი და ძველ ლინევიის ნაწილს შეადგენს.

ქალდეველ ასურელნი ძველად მეცნიერებაში დიდათ დაწინაურებული იყვნენ. მათში მოიპოვებოდა ყოველნაირი სამეცნიერო საგანთ აღწერა ვარსკვლავთ მრიცხველობა, მკურნალობა, ლითონთ აღწერა და მრავალიც სხვანი, რაც ცხადათ მოწმობს როგორც თვით ქალდეველთ წარსულის შესწავლა, ისევე მსოფლიო ისტორია.

ქალდეველთა მწერლობა მეტად ძველია, ქალდეაში დღესაც კი ინახება 4000—5000 წლის წიგნები. მორგალის სიტყვით, ქალდეაში წერა სცოდნიათ ისეთ დროსაც კი, როცა ასოები დაფებზე უწერიათ და ნადირთა ტყავზედ წერა არ სცოდნიათ. ასეთი ძველია, ქალდეველთა ისტორია.

ქალდეველთ სპარსეთის ხელში ბლომათ აქვთ შენარჩუნებული ძველის ლინევიის ადგილები, ბევრი რამ დაკარგა ამ ერმა თავის ცხოვრებაში ბევრი რამ ადგილებიც წაერთვათ, დარჩათ მხოლოდ ეს მცირე ნაწილი ურუმიად წოდებული. სამწუხაროთ ამ შენარჩუნებულს ალაგს და მის საზღვრებზედ, ქალდეველთ რიცხვი მცირეა და ვინც სცხოვრობს ისინიც იქ ვერ ჩერდებიან, სპარსთა მონობას სცილდებიან და უცხო ქვეყნებში სახლდებიან. მათ შეხვდებით: საქართველოში, რუსეთში, ოსმალეთში, ინგლისში, საფრანგეთში, ამერიკას. ინდოეთს, (მალაბოში) ჩინეთს და უშორეს ქვეყნებშიაც.

უწინ ქალდეველნი ვაჭრობასაც მისდევდნენ, ამათში დღესაც არიან ვაჭრები, ხოლო დიდათ არის შემცირებული, სპარსეთსა და ოსმალეთში თითო-ოროლა ვაჭრებს შეხვდებით, იგინი მისდევენ ფართლეულობით ვაჭრობას, ძაფეულობით, ანუ ყაზაზობით, ხმელი ხილით და სხვანი. რაც შეეხება საქარხნო საქმეთა ვითარებას და პირობებს, ქალდეაში ძველადგანვე ყოფილა დახსნილი წისქვილები, სამკერვალო ქარხნები, ფეიქარხნები, დაბლები—ტყავის ქარხნები, ქარხანა საპნისა, სანთლისა, სამღებროები და მრავალიც სხვანი. თითქმის მთელ ქალდეველთ ტომთა საჭირო ნახმარი ტანთსაცმელის ნართი და ჩითეულობა, საპონი, სამთელი, ტყავეულობა და ყოველი საჭირო სახმარი მასალები თვით მათშივე გამოდიოდა. ესენი ამაშიც ისე იყვნენ ამაღლებულნი, რომ თვით სპარსნი ამათგან სწავლობდნენ სახელოსნო და საქარხნო განვითარებას.

სპარსთა და სხვა აღმოსავლეთის ერთა თითქმის ამათგან შეისწავლეს ძველადგანვე ხელოვნურად ჩუქურთმა, ქანდაკი და სხვა ასეთ ხელოვნური ოსტატობანი. დღეს, ქალდეველთა რიცხვი ერთ მილიონზედდა ადის. ეს არის სულ მათი რიცხვი, ამაზე მეტი საკვირველობა შეიძლება განა, რომ დიდის ასურისტანის შთამომავალთა რიცხვი დღეს ერთს მილიონზე ადიოდეს, აქ ერთი მილიონიდანაც, ნახევარზედ მეტი კარშია უცხო ქვეყნებში და თავის სამშობლოშიდა იქმნება ნახევარ მილიონამდე.

სჯულად ამათ ქრისტიანობა უჭირავთ. იაკობ მოციქულის სწავლით სჯული მცირედ რაც განსხვავდება მართლმადიდებელ და კათოლიკეთაგან მით, რომ ჰყავთ სამღვდელოება და განაგებს უფროსი მღვდელმთავარი, ანუ მარშიმონი, პატრიარქი, ანუ მამა სიმონი. ეს სჯული ქალდეველთ უპყრავს ქრისტინობის შემდეგ ჩვენს დრომდე, ხოლო ამ სჯულს გარდა მათშივე გავრცელდა პროტესტანტები, კათოლიკობა, გრიგორიანობა, მართლმადიდებლობაც. უკანასკნელ დროს, ეს გარემოება მოხდა შის გამორადგანაც მარშიმონის გამგეობა და ძალა სპარსთა მახვილისაგან ძველადგანვე იქმნა შეკვეცილი, და დამხობილი, რაისა გამო სპარსნი ქალდეველების შორის ისლამსაც ავრცელებდენ და ძველადგანვე მათ ძველების უმეტეს კავშირეს ისლამს. დღეს უმეტესი ნაწილი ქალდეველთა ზოგნი გათათრებულთაგანი ქალდეველების ენაზედაც ლაპარაკობენ, მაგრამ მცირე რიცხვი, უმეტეს ნაწილმა დაკარგა თავისი ენა და შეითვისა სხვა ენა. ამათი სასულიერო პირნი იღებენ განათლებას თვით ქალდიას, ზოგნი ევროპაშიაც მიდიან და სწავლობენ, მერე ბრუნდებიან შინ და სასულიერო წოდებაში შედიან.

ქალდეველთ შორის არიან ისეთ ქრისტიან ქალდეველნიც, რომელთაც ქალდეური ენა დავიწყებული აქვთ და სპარსულად ლაპარაკობენ, სჯული კი ქრისტიანული უკავიათ. კათოლიკეებმა მათში 70 წლის წინედ შეიტანეს, რომის პრაპაგანდისტებმა და პროტესტანტებმა 80 წლის წინედ, ყველაზე დიდი ამაგი ქალდეველთა წინაშე კათოლიკის ბერებს მიუძღვით.

სხვა და სხვა საქრისტიანო სწავლის ვრცელებას ქალდეველთ შორის, არც მამა სიმონი ეწინააღმდეგებოდა, რადგან კათოლიკენი და პროტესტანტები მასაც დიდს პატივს აგებდენ, დახმარებას აძლევდენ ფულით და სამთავრო და საგამგეობო გადასცა, მეორე სპარსეთის მთავრობის წინაშე მნიშვნელობასაც უმაღლებდნენ. კათოლიკობა ამ 70 წლის განმავლობაში დიდათ გავრცელდა და ქალდეველთ შორის კათოლიკეთა სამღვდელონი და ეპისკოპოზნი მრავლად არიან.

კათოლიკის სარწმუნოების ქალდეველთ რიცხვი ორს საეპისკოპოზედ, ანუ ორს ეპარქიად გაიყოფება. წინედ კი სამი საეპარქიოზე იყო. დღეს ამ ორს ეპარქიას განაგებს ორი მღვდელი-მთავარი ერთი მღვდელ-მთავარი მონსიონერ ლენე, ლაზარისტების ძმობის წევრი, ტომით ფრანგი, დელეგატი რომისა და მეორე ეპისკოპოზი თომა ავდუ-ავდუკი, ტომით ქალდეველი. შეცოდნე სხვა და სხვა ენების და წერა-კითხვის, მალამაში, ინდოეთს და ჩინეთის ახლოს, ჰყავთ ერთი არქიეპისკოპოსი კათოლიკისა. ოსმალეთში, მუსულს, დამასკოს გვერდით, ჰყავთ კათოლიკე სჯულის პატრიარქი და თორმეტი ეპისკოპოსნი კათოლიკის სჯულის. ასევე სამღვდლო პირნი პროტესტანტებისა, რომელნიც აგრეთვე სასაგალითოდ მოქმედებენ ამ დაცემულის გვარის სასარგებლოდ. კათოლიკეებს და პროტესტანტების მისიას დიდი შრომა მიუძღვით მთელს ქალდიაში.

კათოლიკის სამღვდელოებას მრავლად აქვს დახსნილი სხვადასხვა წერილი სასწავლებელში. დამასკოს გვერდით, დიდი სემინარია, სადაც სამღვდელო პირნი სწავლობენ. აქედამ გამოდიან ქალდეველთა კათოლიკის სჯულის მოძღვარნი, სადაც სხვადასხვა ენებს და ღვთისმეტყველებასაც ასწავლიან ქალდეურის ენით. ამავე სასწავლებელში იღებენ თვით ქალდეველ ნესტორიანებსაც. სწავლის მიღების შემდეგ იგინი შინ ბრუნდებიან და თავიანთ მამა სიმონისაგან ეკურთხებიან მღვდლათ. ამ მხრით კათოლიკის სამღვდელოება ქალდეველთა სჯულის სამღვდელოებას დიდს სამსახურს უწევს და სიკეთეს, რადგანაც ქალდეველთა ნესტორის სჯულის საშუალო და მაღალი სასწავლებლები სულ არ აქვსთ მთელს ურუმიაში.

(შემდეგი იქნება.)

ზ. ჭ.

# სალამი ეროვნულ დროშას

ეროვნულო დროშავ! მუხლ-მოდრეკით, უზენაესს გრძნობათა მოზღვავებით ვეგებები შენს საზეიმო ფრიალს! კურთხეულ და უკვდავ ჰყოს განგებამ ეს სანეტარო დღე ჩემი სამშობლოს ახალი ცხოვრებისა!

ნახევარ წელმა განვლო მას შემდეგ რაც შენ, საკანეთიდგან გამოსულმა ბრწყინვალე მზის სხივი კვლავ დაინახე, მაგრამ დიდ-ბუნებოვანის მოკრძალებითა და პატიოსანის კდემა-მოსილებით მხოლოდ დღეს აღიმართე შენს ტახტზე, მხოლოდ დღეს გადააშუქე შენს სამფლობელოს!

სალამი, მოწიწების სალამი, ერის სულის კვეთების, ერის მისწრაფებათა გამომხატველო, თავისუფლების, თავის-ბატონობის ემბლემავ, ეროვნულო დროშავ! არა-რა არს ამა გრძნობათა უტკბესი, არა-რა არს მათზე უძლიერესი და რაიცა მათ გამოჰხატავს, იგია ხალხის სალოცველი!

და გახდები კიდეც კვლავ სალოცველია, მკვდრეთით აღმსდგარო ეროვნულო დროშავ!

ხოლო შენ ხარ აგრეთვე ლამაზი, კეკლუცი, როგორც ასული ტურფა და ამიტომ შენ ბევრი მტერიც გყავს.

მაგრამ ივერიის ხალხის ბრწყინვალე წარსულში შენი დაცვა იყო უწმინდესი გრძნობა წინაპართათვის და შენმა ძალამ შესძლენა მათ უკვდავი სახელი! მსოფლიო ისტორიაში ამ წარსულს არას დროს არ დაივიწყებს

# უპასუხო

(ჰექსამეტრ—პენტამეტრისებური)

რათა და რისთვისა?.. ვის არა სმენია საკითხი შენი?
მაგრამა გაღირსებს ვინ, საწყალო კაცუნავ, პასუხს?!.

* * *

მაღლობზე, დაბურულ ტყის შუა, ვიხილე ტაძარი იგი...
შმორიან ვაკესა, შავბილწსა, მუხანათს, მყვირალა ქუჩას
გავექეც... მივმართე გზას უცნობ-ნაცნობსა, აღლოთი ძებნილს,
ვიდოდი ჭაბუკი... დღე-ღამე მრავალი დავსტოვე უკან.
მოვხუცდი, როდესაც ტყის შუა ვიხილე ტაძარი იგი...

* * *

წარწერა რაღაცა აქვს.. აკლია ბოლო და თავი...
საძირკველს უღრღნის მას დრო, ჩაემტვრა, დაელპო კარი!
ჩუქურთმა დაფხვნიშა მზემ... კედლებსა აცხრილებს ქარი.
გუმბათზედ თამამად ზის, დამჩხავის თავხედი ყვავი!..
დამსკდარან თაღები მთლად... დახავსდა უენო ზარი:
მტვერშია ჩაფლული, იქ შუაზედ მტვრეული ჯვარი!
ნოტიო სიბნელე შიგ... სიწყნარე, სამარის სული...
კუთხიდან მაშინებს ბუს თვალთშტერა ელვარე, მტრული!..
გარედან მოვედი მე... მომწყინდა სიცრუის სმენა!
უფალო, დავკარგე გზა!.. დავკარგე იმედი, რწმენა!
სიყრმიდგან დაგეძებ შენა: გიყვარდა ტაძარი ესა.
მისმინე, შესწყვიტე მით მძებნელი სულისა კვნესა!
ხშირადა ჰკურნავდი აქ წინაპართ სულიერ წყლულსა...
მართალო, ამიხსნი ხომ ყოფნისა საკითხსა კრულსა?!.
დუმილი... წარწერა?.. ახ! აკლია ბოლო და თავი
გუმბათზედ თამამად ზის, დამჩხავის თავხედი ყვავი!!.

კ. მაყაშვილი.

ეს ხალხი, არასდროს არ გახდება მოღალატე შენი!

იგი გულკეთილია, შემგუებელი, მომთმენი, დამთმობი, ერთგული—რაინდი სულით, მაგრამ ამავე დროს ორგულის, მუხანათის, უსამართლოს, გაუმაძღარის—კაცის ჰამიას დაუნდობელი, თუ კი ის საზღვარს გადავა, ნიადაგს გამოაცლის მის ყოველ პატიოსან გრძნობას, შელახავს მის წმიდათა-წმიდას!

არ დაუთმობს ის შენს ძვირფასს თავს არც სუსტს, არც თვისზე ძლიერს! მოკვდება, მაგრამ სიკვდილს მაინც ასწავლის, როდესაც ეს შეეხება შენს წმინდა სახელს, შენს არსებობას!

მაშ ჯერ მხიარულად იფრიალე ჩვენო კეკლუცო, ეროვნულო დროშავ!

და შენმა ერმაც განიცადოს თავისუფლების უზენაესი გრძნობანი!

**ნინო ყიფიანი.**

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

**კ. კეკელიძე.** ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები. ნაწ. I. კიმენი, ტ. I. ფასი 10 მან.

მოგვივიდა პროფ. კორნელი კეკელიძის დიდი შრომა **Monumenta Hagiografica Georgica.**

წიგნი დიდი ზომისაა (XLVIII+350), ეს-ეს არის დაიბეჭდა თბილისში რუსეთის სამეცნიერო აკადემიის საფასით.

მართლაც რომ იგია ნამდვილი მონუმენტი (ძეგლი) საქართველოისა.

საკმაოა კაცმა წაიკითხოს მარტო შესავალი წიგნისა, რომ დარწმუნდეს, რა და რა უძვირფასესი სამწერლო მასალები დაუზოგვია კაცობრიობისათვის ქართველ საზეპურო ერს.

და ეს მასალებიც ჯერ-ჯერობით შეეხება ერთს დარგს,—ჰაგიოგრაფიას, მერე მის ისეთ ნაწილს, რომელიც მეცნიერებისთვის ან დაკარგულად ითვლებოდა, ან სრულიად უცნობი იყო ან-და ცნობილი იყო მხოლოდ გაკვრით, სხვადასხვა ნაწყვეტების გადარჩენილებით.

ქართულს-კი აგეთები დაუცავს თვით თავ-ანკარა და ხელშეუხებელ დედნებად ან გავრცელებულ მეტაფრასტიულ ნამუშევრად. ხოლო ესეც და ისიც ახალი აღმოჩენაა საკაცობრიო მეცნიერებისთვის.

ამგვარ სამწერლო ნაშთების გამოსამზევრებლად განზრახულია კეკელიძის „მონუმენტა ჰაგიოგრაფიკა გეორგიკა“ ანუ ჰაგიოგრაფიული ძეგლი საქართველოისა, და ჯერხნობით ამ მრავალტომოვან შრომიდამ დაბეჭდილია მხოლოდ პირველი წიგნი—Keimena კიმენი, რომელიც მარტო თავისით, როგორც იუწყება პატივცემული მისი რედაქტორი, თურმე 10—12 ტომსაც გადააჭარბებს.

დიდის ცოდნით, სიყვარულით და შვენიერის ენით რედაქტორს წარმოუდგენია მოკლე განხილვა ქართულ აგიოგრაფიისა, და როგორც ეს შრომა, ისე მთელი წიგნის ტექსტი შეიცავს იმისთანა მასალას, ურომლისოდ ძნელია კაცმა იცოდეს ქართველი ერის ღვაწლი სამწერლო საქმეში და, უმთავრესად, გაითვალისწინოს სიდიდე და ღირსება იმ ეროვნულ წვლილისა, რომელიც მას შეუქმნია და შეუნახავს საკაცობრიო საკურთხეველზე მისატანად და მის დასამშვენებლად. აგეთი მწერლობა თვით ქართველ ერის სიამაყეა და, ჩვენის ფიქრით, მისი ბეჭდვა ამიერიდან უნდა აწარმოოს თვით ჩვენმა შვენიერმა სახელმწიფომ.

ეროვნული საუნჯე თვით ერმავე უნდა აუწყოს წყობილად რომ შვენიერი უფრო გაშვენიერდეს.

ავტორს იმდენი სიმხნე და ძალა შეულევია თავის „კიმენისთვის“, რომ მკითხველი ზედმეტად კიდევ რწმუნდება, რა შეუძლიან ქართველ კაცს, როდესაც იგი მონობიდამ გამოშვებულია და თავისუფლად ეძლევა საყვარელ საქმეს.

**მ. ჯანაშვილი.**

## ზოგი რამ

***

რამდენიმე ხნის წინად სომხურ პრესამ განგაში დაჰკრა: „უშველეთ სომეხ ლტოლვილებს, შინ დაბრუნება უნდათ, საზღვრებზე მოგროვდნენ, სიცივისაგან, ავადმყოფობისაგან და სიმშილისაგან იჟლიტებიანო“. მათ უბედურობას და ოსმალების ჯიუტობას საქართველოს მთავრობას აბრალებდნენ. ნამდვილ მიზეზებზე თვალები დაიხუჭეს და ყურები მოიყრუეს; მარტო სომხის ლტოლვილებსა ხედავდნენ და მხოლოდ მათი ტირილი ეყურებოდათ. თითქოს არა ჰხედავდნენ თუ რა გაჭირებას განიცდიან ქართველი ლტოლვილნი. იციან ჯავახელთა მდგომარეობა?

ნახეთ ს. საგარეჯოში თუ რკინის გზის ლიანდაგის პირ-პირ ჯავახელ ლტოლვილებს როგორ გამოუთხრიათ მიწა, აუყირავებიათ ზედ ურმები, მიუფარებიათ ფიჩხი, წაუყრიათ შიწა, ქვეშ ძონძები გაუშლიათ და ისე სცხოვრობენ ამ ცივსა და მშიერს ზამთარში. გამვლელთ ხელს უშვერენ და შველასა სთხოვენ. საცვალი მათ არა აქვთ და სითბილებელი. ფეხშიშველები თოვლ-ჭყაპ ყინვაში დაავადებულნი მიწაზედ ყრიან და ულვთოდ იხოცებიან.

თუ შესაძლებელია შველა, ნუ თუ მთავრობა არ უშველის და არ დაუბრუნებს ამ აწიოკებულ ხალხს თავის კერას? მაგრამ ისინი არა ყვირიან, თუმცა სხვაზე უარესს დღეში არიან, რადგან ღარიბები არიან თვითონ და მათი პატრონებიც.

მაგრამ „ზოგისა ბამბა ჩხრიალებს, ზოგისა კაკალიც არაო“. მოუარონ თავისმა მდიდარმა პატრონებმა და ხელის შემშლელი მოუკვდეთ!

გადაბრუნდა ქვეყანა. ადამიანის სიცოცხლე ჩალად აღარ ფასობს. საშინელ ომში ხალხი ბუზივით გაწყდა. ვინც შინ შვიდობით დაბრუნდა, ისიც კი არ არის დარწმუნებული თუ ხვალე რა მოელის, წამოუღიათ თან თოფი, ტყვია-წამალი და გადაჰკრავენ თუ არა მოაყოლებენ ჰაბა-ჰუხს უფრო-კი ქორწილებში. ხშირად ასეთ უწესოებას ღვინოს აბრალებენ, მაგრამ რაც ს. სართიჭალაში ფოსტის მოსამსახურეს ილია გობეჩიას დღე დააყენეს ამ „ღვინის“ ხალხმა ეს კი შეუწყნარებელია.

ს. სართიჭალაში ტელეგრაფის ბოძზე გობეჩია მავთულის გასაბმელად ასულიყო. ამ დროს გამოუვლიათ მეფე-პატარძალს მაყრიონით. დაუნახავთ გობეჩია ბოძის კენწეროზედ. „—აბა, ბიჭებო, ვინ უფრო კარგი სროლა იცისო. აუტეხიათ სროლა და საწყალი მოსამსახურე მარჯვენა მკლავში ორი ტყვიით მძიმედ დასჭრეს. ჩამოიყვანეს ქალაქში და მიხეილის სამკურნალოში სული დალია.

***

ქალაქის მმართველობამ გამოაცხადა: „გიორგობისთვის პირველ რიცხვებში სახლის კომიტეტების საშვალებებით იაფი პური დარიგდება და დროზე ჩაეწერენით, თითო თუმანიც გადაიხადეთო“.

— ღმერთო მადლითა შენითა! ამაზედ მეტი-ღა ბედნიერება ამ უზომო სიძვირეში?! დიესია ხალხი აიღეს ბილეთები და ელიან იმ ბედნიერ დღეს, როცა იაფი პური მიეცემათ.

აი ძლივს ის დღეც! მაგრამ დაურიგეს მხოლოდ იმათ, ვინც პირველები ჩაეწერნენ, დანარჩენნი კი უპუროდა სხედან დღევანდლამდის, დამშეული ხალხი პურსა თხოულობს და იცით რითი უმასპინძლდებიან? პური ყველას არ ეყოო. საცხობი ღუმელი გაფუჭდა. გერმანელები მიდიან და ფქვილის გადაცემაში არიან, გამოსაცხობად არა სცალიანთო, თქვენთან ნოტარიუსის პირობა ხომ არ დაგვიდვია და როცა იქნება თქვენთვისაც, მაშინ დაგირიგებთო.

მცხოვრებთა მზრუნავების საპასუხო მასალა ბევრია. როდემდის უნდა ვიყვნეთ ასე?

***

გენერალ-გუბერნატორმა ბრძანება გამოსცა ყველა სახლებზე ფარანი გამოიკიდოს ქუჩის გასანათებლად.

აასრულეს ეს ბრძანება?..

მაგრამ აქაც თვალთმაქცობენ: ფარნები ჩამოჰკიდეს და არ აანთეს. რატომ?... ნავთი არ არისო.

ბატონებო, როგორ არ არის? ქუჩა-ქუჩა დააქვთ და ჰყიდიან გირვანქას 7—8 მანეთად, თუმცა ნიხრი 3 მანეთია გამოცხადებული, მაგრამ ნიხრს ვინ უყურებს. ავლაბრის ხიდთან მოდნებზე ნავთი ბლომად არის და იძახიან: „ნავთი არ არისო“.

ქალაქი გვპირდება გირვანქას ოთხ აბაზად და მასთან უეჭველად ათი ფუთი წაიღეო.

კაცო! ან ჭურჭელი სადა მაქვს ათი ფუთისა, ან რით მოვაგროო? ეს ხომ ძალით ხელების შეკვრაა და საქმის გაძნელება.

აღარც ელექტრონს ანთებენ; მაზუთი არა გვაქვსო, დღისით კი ოთახებშიაც არის სულზე ელექტრონის სინათლე, საიდან?... ეგ აკუმულიატორები მზად გატენილი გვაქვს და დღისით შუქს იძლევიანო.

როგორ? ვის ატყუებთ, აკუმულიატორი იტენება დინამომანქანით და თუ დინამომანქანა მუშაობს, მაშასადამე სინათლეც უნდა იყოს. აკუმულიატორი უსულო მანქანაა და თავის ნებაზე ვერ იმოქმედებს, თუ კაცმა არ აამუშავა.

ეს უსწორ-მასწორო სინათლის გამოშვება. ღამით სიბნელე და ნავთის სიძვირე რაღაც საიდუმლოებას თუ მიეწერება.

**მათე იანქოშვილი**

## საქართველოს მტრები.

ინგლისელების ბაქოში ჩამოსვლამ და იქიდან ოსმალეთის მთავრობის გარეკვამ, საქართველოს მტრები ააყბედა. ხშირად გაიგებთ ქუჩებში მათ ლაპარაკს, გაბრწყინებულ სახეს და მხიარულ სიცილს. „საქართველოს რესპუბლიკას დღეები ეთვლებაო“, იგინი დაძრწიან დაბალ ხალხში, სადაც ვერ ჰხვდებიან ოპოზიციას და სხვა და სხვა ჭორებს ავრცელებენ. მაგრამ ამ ქვეწამავალთ ან ავიწყდებათ ერთი უმთავრესი გარემოება და ან კიდევ არ იციან ქართველ ხალხის ზნე ჩვეულება და მათი სიყვარული თავისუფლებისა და მამულისადმი. საქართველოს ხშირად მოფენია ღრუბელი—მომასწავებელი ჩანთქმისა—მაგრამ იგი ყოფილა გაფანტული მზის სხივებით, მონობა სიხარულად შეგვცვლია და გლოვა სიხარულად.

თუ ახლაც რამე ბოროტება გველის—გვწამს რომ ჩვენი ხალხი რომელიც გამოწრთომილია ისტორიის ცეცხლში—აიტანს ყველაფერს, აიტანს რადგანაც მისი სხეული მეტად საღია და უტეხი.

მაშ რად სჭირდებათ ვერაგობა კბილთა ღრჭენა და შავი გულის ტარება ჩვენი დამოუკიდებლობის წინააღმდეგ?

ხომ იციან რო მათი მიზანი მეტად უიმედო და შორეულია?

**შ. თაქთაქიშვილი.**

## კორესპონდენცია

### თელავი

თელავის სატყეო უწყებაში მსახურობს ვინმე რუსი სუკერი, რომელმაც დიდი მოხერხებით ჩაიგდო თელავის მაზრის ტყეების ზედამხედველობა. ეს ვაჟბატონი აღარავის ინდობს. სულ მოკლე ხანში მან რამდენიმე გამოცდილი ქართველი თანამოსამსახურე დაითხოვა და ვინც შერჩა მათაც მოსვენებას არ აძლევს.

მის უკანონობას კვერს უკრავენ იმისთანა ქართული დაწესებულებანი, რომელთაც შეუძლიანთ რუსის უკანონო მოქმედების გასაჩივრება. აუწერელია მისი თავხედობა და თავგასულობა. მოვითხოვთ საზოგადოების და მთავრობის ყურადღებას კადნიერ რუსის მოქმედების ასალაგმავად.

**ვინმე.**

### საბურთალო

საბურთალოზე მელ. ლებანიძეს სახლში არსებობდა სახალხო სამკითხველო, რომლის წიგნებიც სხვა და სხვა პირთაგან იყო შეწირული. ბიბლიოთეკა დაუკეტიათ და წიგნები სულ გაუტაციათ აქეთ-იქით.

ასევე გაუტაცნიათ საბურთალოს სახალხო თეატრის ნივთები და თეატრიც დაუკეტიათ. საჭიროა ამ გარემოებას დამაარსებლებმა ყურადღება მიაქციონ და ასეთ ამბების მიზეზებიც ახსნან! **ზ.**

### ს. გრემი

გრემი სძევს დაღესტნის საზღვარზე მდ. გრემზე, რომელიც ალაზანს ერთვის. იგი იყო კახეთის სატახტო ქალაქათ „განდგომილებასა კახთ მეპატრონეთა“ ვიდრე შაჰაბაზამდე, რომელმაც 1616 წელს მოაოხრა კახეთი და გრემიც „მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი“. ბატონიშვილ ვახუშტის დროს აქ კიდევ ყოფილა შეუმუსრავი შენობა და ეკლესიანი.

დიდების დღეები ნახა გრემმა ლევან მეფის (1520—1574 წ.) დროს. ლევან მეფემ აქ ააშენა მშვენიერი სასახლე დიდი პალატებით და ბაღჩა-ბაღებით და შეამკო ყოველი სიკეთით. შემდეგ აქვე სცხოვრობდა პოეტი მეფე თეიმურაზი.

ძველი ქალაქისა დღეს გრემში აღარა დარჩენილა რა, გარდა მთავარანგელოზის კეთილშენ ეკლესიისა, რომელშიაც დასაფლავებულია ლევან მეფე. გრემი დღეს მდიდარი და სავსე სოფელია. **არანისი.**

## ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ.

მსახიობი ვალ. შალიკაშვილი მძიმე ავადმყოფი შეიქნა. ექიმების სიტყვით მისი სოხუმში გამგზავრება აუცილებელია, ეჭვს გარეშეა ჩვენი დაწესებულებანი და საზოგადო მოღვაწენი ყურად იღებენ ავადმყოფის უკიდურეს მდგომარეობას და წვლილის გაღებით ტანჯვას გაუადვილებენ.

შემოწირულებანი მიიღება ლატარიის კანტორაში და ქართველ მსახიობთა კავშირის თავმჯდომარესთან.

## თეატრი და მუსიკა

**სახალხო სახლი.** დღეს წარმოდგენილ იქნება ა. ყაზბეგის დრამა „არსენა“.

**ქართული კლუბი.** დღეს მიხ. კავსაძე ჰმართავს ლექცია კონცერტს სამ განყოფილებად 40 კაცის მონაწილეობით.

## განცხადება

საქართველოს რკინის გზის სამმართველო ამით აცხადებს მგზავრთა საყურადღებოთ, რომ სათბობი მასალისაგან გამოწვეულ პირობის გამო 10 აგვისტოდან მატარებლების მიმოსვლა იცვლება შემდეგ ნაირათ:

**თბილისიდან გადის**

| | | | საათი | წ. |
|---|---|---|---|---|
| ფოთისკენ | № 23 | | 7 | 50 |
| „ | № 3 | ღამის | 10 | 30 |
| ქუთაისისკენ | № 9/10 | საღამ. | 7 | 17 |
| განჯისკენ | № 4 | ღამის | 11 | 10 |
| „ | № 8 | დღის | 3 | 35 |
| სანაინისკენ | № 4/30 | დღის | 1 | — |

**თბილისში მოვა**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ფოთიდან | № 24 | შუად. | 12 | 47 |
| „ | № 4 | საღამ. | 6 | 54 |
| ქუთაისიდახ | № 11/12 | დილის | 6 | 53 |
| განჯიდან | № 3 | საღამ. | 4 | 30 |
| „ | № 7 | დღის | 8 | 30 |
| სანაინიდან | № 40/3 | დილის | 11 | — |

თბილისის დროით.


### კერძო სამკურნალო
**ექ. ა. დ. ალექსიძის**

მომსვლელ ავადმყოფთათვის ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები:

**გ. მ. რეკვავა**—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

**მ. მ. ტყემალაძე**—კანის და ვენერიულ. სიფილ. 606—914 ...ლიხ) 11—12 ს.

**ი. ა. ლაზარევი**—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

**ნ. თ. ანდრონიკაშვილი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

**ა. დ. ალექსიძე**—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

**მ. ნ. იშხნელი**—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

**ს. გ. ჯაფარიძე**—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

**ი. ა. ხათრიძე**—ბაქტეროლოგი სამკურნალოს ლაბორატორიისა, სადაც შეიძლება ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვ.), ელექტრიზაცია, მასსაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა, № 6, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—83.

სამკურნალოს დირექტორი ექიმი ა. დ. ალექსიძე.

### ექიმი
### პ. ტარ. ლორთქიფანიძე
**დაბრუნდა ბაქოდან**

მიიღებს შინაგან სნეულების და ბავშვების ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—12 საათამდე. ნაზერეენის ქუჩა, სახლი 11. ტელეფონი 8—19. (თ.—1918).

**სამკურნალო კაბინეთი ექიმის**
### ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათ. და საღამოს 5 საათ. 7 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“ს პირდაპირ, ტელეფონი 14—28.

**მარტის 20 გაიხსნა ახალი**
### სამკურნალო
**უბილეთო ავადმყოფთათვის ექიმ ჯ. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეთიანცის**

**საავადმყოფოში იარსებებს კბილის საექიმო კაბინეთი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბორატორიით.**

მიხეილის პროსპექტის („კიროჩკინი“ ქუჩ. კუთხე № 22, შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—37.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე. **ვენერიულ** ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

**ღარიბები მიიღებიან კვირაობით,** 10—12-მდე უფასოდ.

### ექიმი
### ივ. ვ. დემურია

იღებს ავადმყოფებს 1—3 საათ. შინაგან და ბავშვებს. მიხეილის პროსპ. № 116. სასტუმროს „ნოეს“ პირდაპირ.

**მედიცინის დოქტორი**
ბერლინის უნივერსიტეტისა
### გ. გ. მეგრაბიანცი
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**

შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

**გაიხსნა**
### თვალის საავადმყოფო
(მუდმივი საწოლებით)
### ექიმი დონხინისა

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ კლინიკისი ვენაში და პარიზში. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, 9 საათიდან 1 საათამდე და 4—7 ნახევარ საათამდე. მიხეილის პროსპექტი № 141 (კინემატოგრაფი „აპოლო“-ს ახლო) მძიმე ავადმყოფები და საოპერაციები მიიღებიან სრულ პანსიონში. ტელეფონი 5—97.

### ექიმი
### მ. ჩინამძღვრიშვილი

დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 11 საათიდან 1 საათამდის და საღამოს 6-დან 8-მდე. გულის, ფილტვისა და სისხლის სპეციალური. მისამართი: ელისაბედის ქ. 7, სასტუმრო „ბომონდის“ ახლოს.

**დოქტორი მედიცინისა**
**მიხეილ ანტიმოზის ძე**
### კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფების მიღება ოლღას ქ. № 3 სახლი მელიქ. აზარიანცის დილით 8—9-მდე. საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

**რენტგენის და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი დოქტორი მედიცინისა**
### გ. მერაბოვისა

(რენტგენოლოგი წ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკებისა).

მიიღებს **შინაგან და ნერვიულ** ავადმყოფებს, სპეციალურად ფილტვების, **ჰლექის** ავადმყოფობა (ტუბერკულოზი), გულის, კუჭისა და ჰაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. ბებუთოვის ქუჩა № 23, ტელეფონი 7—92, ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 ს.

**საწყლებს უფასოთ.**

### „სორაპანის“ გამოცემა
დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა ახალი სტილით
### 1819 წლის
### ა) კედლის კალენდარი
### ბ) სახალხო კალენდარი
### გ) მოძრავი კალენდარი

შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ.

კალენდრებში უქმეები ახალ სტილზე დაგებულია საკათალიკოსო საბჭოს კონცელარიის დირექტორის დეკ. კალისტრატე ცინცაძის მიერ

**მისამართი:** თბილისი სტამბა „სორაპანი“ მ. გაჩეჩილაძეს.

### ქ. თბილისის მე-3 სამოსამართლო უბნის სასამართლოს ბოქაული კ. პოტიომკოვსკი

ამით აცხადებს, რომ ქრისტეშობისთვის 12-ს 1918 წელს დილის 10 საათზე ნადიროვის მამულში ქ. თბილისში მე-9 უბანში დანიშნულია

### საჯარო გაყიდვა
### ვასილ ალნიაშვილის

უძრავ ქონებისა, რომელიც შეიცავს: ერთ სართულიან ქვიტკირის სახლს პატარა თავლით. შეფასებულია 861 მანეთად და აღწერილია ბ. სურენ ნალბანდიანცის დასაკმაყოფილებლად თანახმად თბილისის მე-3 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლის 24 ენკენისთვის 1918 წ. აღმასრულებელ ფურცლისა № 257—936 მანეთისთვის.

1—1

იბეჭდება თბილისის პუშკინის სახელობის გიმნაზიის გამოცემა
### საქართველოს ისტორია

ეპიზოდიური კურსი 2 და 3 კლასებისთვის რუსულ ენაზე. ნ. ე. სპილიოტი და დ. ი. კასრაძისა. გამოვა 1919 წ. დასაწყისში.

ხელის მოწერის ფასი 6 მანეთი. გამოცემის დაბეჭდვის და გამოსვლის დროს ფასი შეიძლება შეიცვალოს. ხელის მოწერის დროს გადახდილ უნდა იქნეს 50 პროც. ვინც ბევრ ეკზემპლიარს დაიკვეთს ფასი შეთანხმებით დაეთმობა. ხელის მოწერა მიიღება პუშკინის სახელობის გიმნაზიის კანცელარიაში (ბებუთოვის ქ. № 56 და პუშკინის ქ. № 4). 1—1

**პირველ ხარისხოვანი რესტორანი**
### „საქართველო“ ყოფილი „ამირანი“

**პუშკინის ქუჩა ძველი სემინარიის შენობაში.**

28 გიორგობისთვიდან განახლებულია—საუკეთესო მზარეულის ხელმძღვანელობით ევროპიული და აზიური სამზარეულოთი კეთდება საუკეთესო მასალით ყოველგვარი საჭმელები განსაკუთრებით **„საცივი ჩახოხბილი ხარჩო და ღომი.**

ფასები წინანდელზე შედარებით დაკლებულია. საუზმე დილის 10—12 საათამდის, სადილი 1—5 ს., ვახშამი ღამის 11 ს., სადილ-ვახშმის დროს

**დაუკრავს სიმებიანი ორკესტრი და თარი.**

(5—1894—5)

### ყოფილ საუფლისწულო მამულების ღვინოები

**ყოფილ საუფლისწულო მამულების სახელმწიფო ღვინის საწყობის სასახლის განყოფილება**

**სასახლის ქ. № 5. ტელეფონი № 888.**

„საუფლისწულო ღვინოების“ ბ. ბ. მხმარებელთ, რომელნიც სცხოვრობენ გოლოვინის პროსპექტის და ერევნის მოედნის რაიონებში: ვერის დაღმართზე, მოსკოვის ქუჩით—ერთის მხრით, სოლოლაკის ქუჩით, შუა ბაზრით—მეორე მხრივ, და ჰსურთ ღვინო შეიძინონ სახელმწიფო საწყობის პრეისკურანტის ფასით კეთილ ინებონ და მობრძანდნენ ზემო ნაჩვენებ მისამართზე.

1—1